ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ხათუნა ლაგაზიძე: რესპუბლიკელებმა საპარლამენტო გადატრიალება მოაწყვეს“

„მცირერიცხოვანმა ფრაქციამ თავისი ნება მოახვია მთავრობას და პარლამენტს“

გვ.5



2 – 3 მაისი, 2015

1100 (6720)

აფცბ5 №) სტსჰბ

# შეუძლია თუ არა პრეზიდენტ მარგველაშვილს პრემიერ ღარიბაშვილის შეცვლა

გვ.7



## მარგველაშვილმა ღარიბაშვილი და მისი მთავრობა რიკოთიდან დააბრუნა

გვ.3



პრემიერმა ახალი მინისტრები პარლამენტის გარეშე დანიშნა



## ირაკლი ღარიბაშვილი გადაყენებისგან მამუკა ხაზარაძემ იხსნა“

გვ.4



## გიორგი ვაშაძე: თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა დასავლეთს პოზიციებს არ შეაცვლევინებს“

გვ.2

## ქართველი სამხედროების ძალადობაზე გაეროს ანგარიშში ნახსენები არ არის

„ახალი თაობის“ გუშინდელ ნომერში გწერდით, რომ დასავლეთის მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გაეროს ანგარიშში 3 ქართველ ჯარისკაცს ცენტრალურ აფრიკაში 16 წლის ქალიშვილზე ძალადობას აბრალებდნენ.

ორგანიზაცია „ეიდს ფრი უორლდის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პაულა დონოვანის თქმით, ქართველი სამხედროების მისამართით ძალადობრივი ქმედებების ბრალდებები გაეროს ანგარიშში ნახსენები არ არის.

ამის შესახებ ქართული მედიისთვის გაკეთებულ კომენტარშია ნათქვამი, რომელიც „ინტერპრესნიუსს“ დონოვანის თანაშემწემ გამოუგზავნა.

— საქართველო დოკუმენტში ორჯერაა ნახსენები — ერთხელ, როდესაც ბავშვი აღწერს ფრანგ სამხედროს, რომელმაც შემდეგ პოსტი დატოვა და რომელიც მოგვიანებით ქართველმა სამხედრომ ჩაანაცვლა და კიდევ ერთგან, როდესაც ბავშვი აღწერს ძალადობის შემთხვევას, რომელიც მაშინ მოხდა, როდესაც ფრანგი ჯარისკაცები ქართველ სამხედროებს ტერიტორიას ათვალიერებინებდნენ. ქართველი სამხედროების მიმართ ძალადობის ბრალდებებზე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, — აღნიშნულია პაულა დონოვანის მიერ გაკეთებულ კომენტარში.

პაულა დონოვანმა ინგლისურენოვან გამოცემა „გარდიანს“ მიაწოდა გაეროს ანგარიში, რომელშიც საუბარია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ფრანგი სამხედროების მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაზე.

მომხდართან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ აღნიშნული ფაქტები დადასტურდება, სამხედროები შესაბამისად დაისჯებიან.



## ანზორ აბრალავა: ღარიბაშვილის პოზიციები შესუსტდა“

გვ.5

„ერთი პიროვნება მინისტრი კი არ უნდა იყოს, საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს“

ISSN 1987-9385

## „ივანიშვილმა რეალობის შეგრძნება საერთოდ დაკარგა“

hესპუბლიკელებმა hომ თქვან, კოhუმპიhებული ღაhიბაშვილი უნღა წავიღეს სახლში, უმhავლესობა ღაშლილია. ალაh ექნება უმhავლესობას 76 ხმა ღა, შესაბამისაღ, ამით ღამთავhღება 'ქაhთული ოცნების~ ეს უსაქმუhობა ღა აhაფhის კეთება

კეჰ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# გიორგი ვაშაძე: თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა დასავლეთს პოზიციებს არ შეაცვლევინებს“

## „ივანიშვილმა რეალობის შეგრძნება საერთოდ დაკარგა“

ნონა ცაბაძე



**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე აფასებს.**

***— ბატონო გიორგი, რა ხდება ხელისუფლებასა და ქართულ პოლიტიკაში?***

— ქვეყანა ღრმა კრიზისშია. კრიზისშია ეკონომიკურად, კრიზისშია განვითარების კუთხით, კრიზისშია პოლიტიკური თვალსაზრისით. მთავარი საკითხი ახლა არის, რამდენ ხანს გვეყოლება კიდევ „ქართული ოცნების“ უნიათო და უუნარო მთავრობა. რაც შეეხება დღევანდელ საკითხებს, უშუალოდ მთავრობის წარდგენასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, რომ ნეპოტისტი, უუნარო და კორუმპირებული ღარიბაშვილი უნდა წავიდეს სახლში. აუცილებლად! თავდაცვის მინისტრად ვინც არ უნდა დაენიშნა, ჯანელიძეს ყველა აჯობებდა. რაც შეეხება ზოგადად ამ შემადგენლობას, ეს არის ისევ კოსმეტიკა, ეს არ არის ფუნდამენტური ცვლილება, ძირეული ცვლილება. ქვეყანას სჭირდება ახალი, ტექნიკური მთავრობა, რომელიც ქვეყანას რიგგარეშე არჩევნებისთვის მოამზადებდა.

***— რას ფიქრობთ ქალ თავდაცვის მინისტრზე?***

— ქალი, კაცი, აქ მნიშვნელობა არა აქვს, სქესი ნამდვილად არ არის მინისტრობის განმსაზღვრელი. რაც შეეხება თინა ხიდაშელს, ეს ჩვენთვის მაინც არის კოსმეტიკა და ეს არ არის ფუნდამენტური ცვლილება მთავრობაში. ზოგადად რესპუბლიკელები მოძლიერდნენ, ამ კრიზისის დროს მათ უკვე თავისი პირობები აქვთ წაყენებული, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვა, თუ ღარიბაშვილი არ წავიდა, მთელი ეკონომიკური ბლოკი არ შეიცვალა და ტექნიკური მთავრობა არ დაინიშნა, ამას არანაირი გავლენა არ ექნება ქვეყნის მომავალ განვითარებაზე.

***— რატომ შევიდა ქვეყანა ასეთ კრიზისში?***

— იმიტომ, რომ არ არის ნორმალური, როცა ქვეყანას მართავენ ჩრდილიდან. არ არის ნორმალური, როცა პრემიერი, მერი და პრეზიდენტი მარიონეტები არიან, თუმცა, პრეზიდენტი ცოტა ცდილობს, გავიდეს ამ ზეგავლენის ველიდან და ამასაც მინდა ხაზი გავუსვა. შესაბამისად, გვაქვს ის ვითარება, რომელიც გვაქვს.

***— ერთი დღით ადრე, ვიდრე პრემიერი ახალ შემადგენლობას დაასახელებდა, ამბობდნენ, რომ მხოლოდ ორი მინისტრი იცვლებოდა, თუმცა სამი შეიცვალა. რა ხდებოდა ამ ფონზე პარლამენტში? ითქვა, რომ რესპუბლიკელების ზეწოლა იყო, რომ მათი კანდიდატურები გასულიყო, სხვა შემთხვევაში მხარს არ დაუჭერდნენ მთავრობის დამტკიცებასო. ასეა?***

— სწორედ ასეა. რესპუბლიკელები სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და შეეცდებიან, რაც შეიძლება მეტი მიიღონ ამ პროცესიდან, მაგრამ ისინი იბრძვიან კოსმეტიკისთვის და არა — ფუნდამენტური გარდაქმნისთვის. ეს არის დიდი პრობლემა.

***— დღეს პროცესებს მთლიანად მართავს ივანიშვილი და ღარიბაშვილს არავინ არაფერს ეკითხება?***

— რა თქმა უნდა! ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელსაც ერთ საათში რომ დაურეკონ და უთხრან, გამოდი, პრესკონფერენცია ჩაატარე და წადიო — წავა! ეს უნიათობა მხოლოდ მაშინ დამთავრდება, თუ მთავრობის სრული შემადგენლობა შეიცვლება!

***— ბოლო დღეებში ამბობდნენ, რომ პრემიერიც შეიცვლებოდა და დაინიშნებოდა ვადამდელი არჩევნები, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ გზით არ მიდის.***

— ხელისუფლებაზე ნუ ვსაუბრობთ, აქ გადამწყვეტი როლი აქვს იმას, თუ რა გზას აირჩევს ივანიშვილი. ჯერ, როგორც ჩანს, გრძელვადიან ანალიზში ვერ ჩასვა, რა მიმართულება უნდა აირჩიოს. იმედია, შექმნილ სიტუაციას ფილოსოფიურად გაიაზრებს და რაღაც თავის პოზიციას გვეტყვის. ისე კი ამ არაფორმალურმა მმართველობამ ვხედავთ, სადამდე მიგვიყვანა.

> რესპუბლიკელებმა რომ თქვან, კორუმპირებული ღარიბაშვილი უნდა წავიდეს სახლშიო, უმრავლესობა დაშლილია. აღარ ექნება უმრავლესობას 76 ხმა და, შესაბამისად, ამით დამთავრდება „ქართული ოცნების“ ეს უსაქმურობა და არაფრის კეთება

***— პრეზიდენტმა მინისტრების ახალ სიას ხელი არ მოაწერა და ერთი კვირით გადადო ეს პროცესი. რამდენად მოახერხებს გიორგი მარგველაშვილი სიტუაციის განმუხტვას, რას ველით მისგან?***

— გიორგი მარგველაშვილისგან ამოღებული ხმალი ბევრჯერ გვინახავს და მერე ეს ხმალი უკან ქარქაშში ჩაგებულიც. ვნახოთ, რა იქნება ამ შემთხვევაში. ბევრი რამეა მასზე დამოკიდებული.

***— რისი იმედი აქვს მარგველაშვილის, რამე შეიცვლება ამ ერთ კვირაში?***

— ეს მარგველაშვილს უნდა ჰკითხოთ, რისი იმედი აქვს, მაგრამ ერთი კვირა ნიშნავს, ეყოფა თუ არა გამბედაობა პრეზიდენტს, ეყოფა თუ არა გამბედაობა რამდენიმე ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს უმრავლესობაში, რომ ყველაფერს დაარქვან თავისი სახელი და დამთავრდეს ეს არაფორმალური მმართველობა ქვეყანაში.

***— ალბათ, პარლამენტშიც უნდა ველოდოთ ცვლილებებს, რესპუბლიკელებს ორი დეპუტატი გამოაკლდათ. ახალი შუალედური არჩევნები გახდება საჭირო.***

— მოდით, ასე ვთქვათ: ჯერ წინ არ გადავმხტარვართ, ჯერ მთავრობა არ დამტკიცებულა, ამ შემადგენლობით დამტკიცდება თუ არა მთავრობა, არავინ იცის. ეს ყველაფერი გადაწყდა რამდენიმე წუთში, ხუთშაბათს საღამოს, თუნდაც ამ ორი რესპუბლიკელის წარდგენა მინისტრებად. ასე რომ, შევხედოთ სიტუაციას და დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

***— ყველა ელოდა პრემიერისგან, რომ ხუთშაბათს 3 საათზე დაასახელებდა ახალ მთავრობას, თუმცა ეს მეორე დილისთვის გადაიდო. რატომ, რა ხდებოდა?***

— ვაჭრობა მიდიოდა. რესპუბლიკელებმა, როგორც თვითონ თვლიან, ამ ეტაპისთვის მაქსიმალური მოგება მიიღეს, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილთანაც ივაჭრეს.

***— დღეს ივანიშვილი რესპუბლიკელებს ეყრდნობა?***

— ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელებს არ ეყრდნობა, ბიძინა ივანიშვილი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ამ შემთხვევაში რესპუბლიკელებს. ყველას კარგად ესმის, რომ რესპუბლიკელებმა მართლაც რომ ადეკვატური პოზიცია დაიჭირონ და თქვან, კორუმპირებული ღარიბაშვილი უნდა წავიდეს სახლში და მთავრობა უნდა შეიცვალოსო, უმრავლესობა დაშლილია. აღარ ექნებათ უმრავლესობაში იმდენი ხმა, აღარ ექნება უმრავლესობას 76 ხმა და, შესაბამისად, ამით დამთავრდება „ქართული ოცნების“ ეს უსაქმურობა და არაფრის კეთება.

***— მაშინ გამოდის, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი ბიძინა ივანიშვილის მხრიდან.***

— რესპუბლიკელების წამოწევა? კი, რა თქმა უნდა! თუ უნდა, რომ ხელის ბიჭი ღარიბაშვილი შეინარჩუნოს, რაღაც დათმობაზეც ხომ უნდა წავიდეს? თუნდაც იმაზე, რომ თინა ხიდაშელი დაინიშნოს თავდაცვის მინისტრად. რამდენად დიდი პროფესიონალია თინა ხიდაშელი თავდაცვის სფეროსი, ეს რიტორიკული შეკითხვა მკითხველისთვის მიმინდვია. მთავარი ის არის, რომ პორტფელები ნაწილდება პოლიტიკური ვაჭრობიდან და არა — პროფესიონალიზმიდან გამომდინარე.

***— ითქვა, რომ ამ ცვლილებებით კოჭი გაუგორეს დასავლეთს, ევროპულ კურსს, რადგან რესპუბლიკელებს ამ კუთხით მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვთ. ასეა?***

— არა, ეს ტყუილია. თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა ნამდვილად არ არის ის, რაც პოზიციებს შეაცვლევინებს დასავლეთს. დასავლეთში ძალიან კარგად იციან, რაც ხდება. თავად გახლდით ვაშინგტონში სულ რაღაც ერთი კვირის წინ და ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, ვინ არიან ხელისუფლებაში და რა ჯგუფია. შეიძლება, ეს არგუმენტად მოჰყავთ ხოლმე რესპუბლიკელებს, რადგან ინგლისურად სხვები ვერ ლაპარაკობენ, მხოლოდ რამდენიმე რესპუბლიკელი ლაპარაკობს. ახლა თარჯიმნის მეშვეობით საუბარი ამერიკელებთან და ევროპელებთან ცოტა სირცხვილია. შესაბამისად, რადგან ინგლისური მხოლოდ რესპუბლიკელებს ესმით, შეიძლება, ისინი ყვებიან ამ ლეგენდას, რომ თუ მათი ადამიანი არ იქნება თავდაცვის მინისტრი, ძალიან ცუდად იქნება საქმე!

***— როგორ ფიქრობთ, პრემიერის შეცვლა განმუხტავს სიტუაციას?***

— მარტო პრემიერის შეცვლა არა, მთლიანად მთავრობის შეცვლაა აუცილებელი!

***— ეკონომიკურ მხარესაც შევეხოთ. ივანიშვილი აცხადებს, რომ საგანგაშო არაფერია და ნორმალური პროცესები მიდის. ასეა?***

— ეს არაადეკვატური განცხადებები ივანიშვილისგან ჩვენ სამი წელია, გვესმის. სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ დღითიდღე სიტუაცია უარესდება და მან საერთოდ დაკარგა რეალობის შეგრძნება. აი, ეს არის დღევანდელი სურათი და ეს ყველას კარგად უნდა გვესმოდეს.

# თემურ შაშიაშვილი: ქვეყანა ამერიკის ელჩის მიერ იმართება“



პარტია „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის განცხადებით, ქვეყანა პრაქტიკულად, ამერიკის ელჩების მიერ იმართება და ეს კეთდება იმდენად გონივრულად, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეჭვის საფუძველს არ უტოვებენ.

შაშიაშვილმა ეს კომენტარი პრემიერ-მინისტრის მიერ დღეს, ახალი მთავრობის წარდგენასთან დაკავშირებით განაცხადა.

შაშიაშვილის თქმით, მას ეჭვი არ ეპარება, რომ თავდაცვის მინისტრის კანდიდატურაც ამერიკელებისაა და პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების იდეაც ამერიკელებისგან მოდის.

**თემურ შაშიაშვილი:**

— ღარიბაშვილის წარდგენა საბოლოოდ დამტკიცდება, მაგრამ მარგველაშვილის ფიგურას (ამერიკელთა მთავარ კადრს) ხალხის თვალში მეტი ავტორიტეტი შეექმნება. ამ ეტაპზე სწორედ ეს არის მათი მთავარი ამოცანა და თავდაცვის სამინისტროსაც სათავეში მათი ერთგული კადრი ჩაუდგება. ამას ჰქვია ქვეყნის გარე ძალთა წაუგებელი თამაში და ჩვენი კაპიტულანტური პოლიტიკა, რომლის შედეგია ის, რომ ქართული პოლიტიკა იმართება ამერიკისგან, ქართული ეკონომიკა პრაქტიკულად რუსეთის ხელშია. ეს ორი ქვეყანა კარგად ვაჭრობს პოლიტიკურად ერთმანეთში საქართველოთი, ჩვენი საქმე კი უკან და უკან მიდის.

„თეთრების“ ლიდერის თქმითვე, მიუხედავად იმისა, ამერიკის ასევე, რუსეთის სახელისუფლებო წრეებში იციან, რომ მათ მოქმედებათა გამო, საქართველოში ძლიერდება როგორც ანტირუსული, ასევე, ანსაკუთრებით ანტიამერიკული განწყობა, ისინი მაინც მიდიან ამ ნაბიჯზე, ეს კი ნიშნავს რომ მათთვის მთავარია არა ქართველი ხალხის და საქართველოს მოსახლეობის განწყობა, არამედ ის, რომ ჰყავდეთ მათი ინტერესების გამომხატველი მარიონეტი ხელისუფლება.

ნიუსპრესი

# რიჩარდ ნორლანდი: მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამ უმტკივნეულოდ უნდა ჩაიაროს“




საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, აშშ ელის, რომ საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობა მომავალშიც ნაყოფიერი და კონსტრუქციული იქნება.

ნორლანდმა ეს, მთავრობის განახლებული შემადგენლობის შესახებ საკითხის კომენტირებისას, ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ახლა, როცა საქართველო ჩართულია ევროპულ პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

**რიჩარდ ნორლანდი:**

— აშშ სრულად სცემს პატივს საქართველოს საკონსტიტუციო პროცესს. შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა იმ სამინისტროებთან და მინისტრებთან, რომლებიც პოსტებს ტოვებენ. ველით, რომ ურთიერთობები მომავალშიც ნაყოფიერი და კონსტრუქციული იქნება. ახლა, როცა საქართველო ჩართულია ევროპულ პროცესში, განსაკუთრებით, რიგის სამიტის წინ და აშშ-სთან აქვს სტრატეგიული პარტნიორობა, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს, განსაკუთრებით, თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრატეგიულ პარტნიორობაში. ვთვლით, რომ ეს ასე იქნება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

რჯყცეკნფყნტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბბფყბ
ცფბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტ,კტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კბდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯკტ,ფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრნ7 ვბბფ მჯმფიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

უფპტსბ
უფვჯლც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

ჰტლფმნფიბ იტჯჯცჯბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყბბჰლტ,ფ ლფ ფდნჯჰტ,ც ფჰ გ,ჰყლტ,ფ8 ჰტლფმნბნც სფყჯჯ,ბც უფჰტრტ უფპტსიბ ლფ,ტწლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცეჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ უფყწფლტ,ტ,ბც ცჰეკბ ფყ ყფოობკჯ,ჰბდბ უფვჯ.ტყტ,ფ ფრჰფკეკბფ8 ცნფნბფიბ უფვჯმდტ,ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპყცნტპტ გფცეც ფეტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# მარგველაშვილმა ღარიბაშვილი და მისი მთავრობა რიკოთიდან დააბრუნა

## პრემიერმა ახალი მინისტრები პარლამენტის გარეშე დანიშნა

შორენა მარსაგიშვილი

**1 მაისს საქართველო დილის 10 საათზე ტელევიზორებთან გამაგრდა. ირაკლი ღარიბაშვილმა დანაპირები შეასრულა და მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაასახელა. ადრე დაპირებული 2 ახალი მინისტრის ნაცვლად 3 ახალი წარადგინა. მათ შორის ერთ-ერთი თინა ხიდაშელია, რომელიც, თუ პარლამენტი ინებებს, საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი თავდაცვის მინისტრი იქნება.**

სპორტის მინისტრის პოსტზე ღარიბაშვილმა ბიზნესმენი ტარიელ ხეჩიკაშვილი წარადგინა, გარემოს დაცვის მინისტრის პორტფელი კი დეპუტატ გიგლა აგულაშვილს უბოძა.

წარდგენა ხეირიანად არ ჰქონდა დამთავრებული, რომ პრემიერი მინისტრებთან ერთად ქუთაისისკენ დაიძრა. იქ მათ პარლამენტის პლენარული სხდომა ელოდათ. ღარიბაშვილმა წასვლამდე დაიბარა, ამ წუთში მზად ვარ, დეპუტატების ყველა კითხვას ვუპასუხოო.

საპარლამენტო დედაქალაქისკენ მიმავალ ამალას, ეტყობა, წინ შავმა კატამ გადაურბინა. გზაში ამბავი დააწიეს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა მთავრობის დამტკიცების პროცედურა ერთი კვირით გადადოო.

პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა:

— მე მინდა ყველას გაგახსენოთ, რომ ჩვენ რთული გამოწვევების წინაშე ვდგავართ. როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა, მინდა დავსვა კითხვა — თავდაცვის მინისტრებს რა სიხშირით უნდა ვცვლიდეთ? ამ რთული ვითარების ფონზე, მინდა შესაძლებლობა მივცე როგორც პრემიერ-მინისტრს, ასევე პარლამენტს, კონსულტაციები უფრო მშვიდ გარემოში განახორციელონ და მთავრობის შემადგენლობის თაობაზე ჩამოყალიბდნენ. მე კონსტიტუციით ჩემთვის მონიჭებულ ერთადერთ შესაძლებლობას ვიყენებ და ერთი კვირის ვადით გადავდებ იმ ხელმოწერას, რომელიც მთავრობის სიაზე უნდა დამესვა.

მარგველაშვილის განცხადებითვე, მას ბოლო პერიოდში გაუჩნდა ეჭვი, რომ მთავრობა ფორსმაჟორის სიტუაციაში მუშაობს.

— არსებულ ვითარებაში, როდესაც სახეზე მინისტრების მყისიერი გადადგომა გვაქვს, როდესაც ვხედავდით, რომ ერთ-ერთი მინისტრი ამბობდა, რომ არ მიდის პოსტიდან და მეორე დილით წავიდა პოსტიდან, როდესაც გუშინ ვიცოდით, რომ ორი მინისტრი იცვლება და დღეს გავიგეთ, რომ სამი იცვლება, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა ცოტა ფორსმაჟორის რეჟიმში მუშაობს, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მთავრობის მოსასმენად და კენჭის საყრელად პარლამენტშიც მზად იყვნენ. თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილება არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

ეს ამბავი არც მინისტრობის კანდიდატებს გიგლა აგულაშვილს და თინა ხიდაშელს გაუპროტესტებიათ.

თინა ხიდაშელი უფრო შორს წავიდა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის უკვე მინისტრად არის დანიშნული და მას პარლამენტის კენჭისყრა არ სჭირდება.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის შალვა თადუმაძის განცხადებით, მთავრობის ყველა წევრი უფლებამოსილებას ინარჩუნებს. შესაბამისად, მთავრობა უფლებამოსილია, განახორციელოს თავისი საქმიანობა. ამასთან, ახლად დანიშნულ თავდაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, შეუძლიათ, მინისტრის უფლებამოსილება 1 მაისიდან განახორციელონ.

— მთავრობის ყველა წევრი უფლებამოსილებას ინარჩუნებს. შესაბამისად, მთავრობა უფლებამოსილია, განახორციელოს თავისი საქმიანობა.





7 დღის ვადაში პრეზიდენტი გადააგზავნის პარლამენტში განახლებულ მთავრობას და პარლამენტი იმსჯელებს. კონსტიტუციური უფლებამოსილება პრეზიდენტისა გახლავთ, რომ 7 დღეში გადაუგზავნოს პარლამენტს. მთავრობის ყველა წევრი, რომელიც დანიშნულია მინისტრის თანამდებობაზე, უფლებამოსილია, მინისტრის უფლებამოსილება განახორციელოს. ხიდაშელი და აგულაშვილი კი ორივე მინისტრია და მათ შეუძლიათ, განახორციელონ მინისტრის უფლებამოსილება. ისინი კონსტიტუციით დანიშნული მინისტრები არიან, — აღნიშნა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

თინა ხიდაშელს, ეტყობა, უკვე თავდაცვის მინისტრად მიიჩნევს გენშტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე. კაპანაძე 1 მაისს თინა ხიდაშელს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. გენშტაბის უფროსის განცხადებით, ის ქვეყნიდან მიემგზავრება და თავი ვალდებულად ჩათვალა, ხიდაშელს შეხვედროდა.

კაპანაძემ იმედი გამოთქვა, რომ ხიდაშელი კარგი თავდაცვის მინისტრი იქნება.

— არა მგონია, ქართველ ქალს თავდაცვისმინისტრობა გაუჭირდეს, — აღნიშნა გენშტაბის უფროსმა.

თინა ხიდაშელი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ უწყებაში საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავს.

**თინა ხიდაშელი:**

— მე ჩემი გუნდით არსად არ დავდივარ, ჩემი გუნდით არ მივსულვარ პარლამენტში და ჩემი გუნდით არსად წავალ. ჩემი პარტნიორები არიან ადამიანები, ვინც საქმეს მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად აკეთებს, ამიტომ არ ვაპირებ, სამინისტროში მივიდე და რაღაც წმენდები დავიწყო, რაც ამ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე თავდაცვის მინისტრის ყველა მოადგილეს უფლებამოსილება შეჩერებული აქვს.

მეუღლის მინისტრობისთვის ემზადება პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილიც. მისი განცხადებით, თინა ხიდაშელს და გიგლა აგულაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება პარლამენტის უახლოეს სხდომაზე შეუწყდებათ.

თინა ხიდაშელს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ირაკლი ალასანიას ბედს უწინასწარმეტყველებს.

— თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა ერთ რამეზე მიუთითებს, რესპუბლიკელები ძალიან წარმატებულად ვაჭრობენ ბიძინა ივანიშვილთან, ანუ იმ მხარდაჭერის სანაცვლოდ, რაც უნდა გამოუცხადონ ირაკლი ღარიბაშვილს და მის მთავრობას, მოითხოვეს სამთავრობო პოსტები. რა თქმა უნდა, თვითონ კოალიციის სუბიექტებისთვის რესპუბლიკელების გაძლიერება არცთუ დიდად მისაღები რამაა და ამას მომავალში შეიძლება მოჰყვეს ისეთივე დაძაბულობა, როგორიც იყო ალასანიასა და კოალიციის დანარჩენ წევრებს შორის, კოალიციიდან გარიცხვამდე, — ამბობს ჭიაბერაშვილი.

პრეზიდენტის მიერ უარყოფილი პრემიერი და მინისტრები მთავრობის ადმინისტრაციაში შეიკრიბნენ. რამდენიმესაათიანი თათბირის შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციამ განცხადებაც გააკეთა. პრემიერმა კი მინისტრების დანიშვნას მოაწერა ხელი.

მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

— 1 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გვინდა მოგაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ მინისტრების დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური უფლებაა, ახალი კანდიდატების წარდგენამდე ირაკლი ღარიბაშვილმა კონსულტაციები გაიარა კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან. ბუნებრივია, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა, მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობა პარლამენტს ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს.

საქართველოს მთავრობა ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას, თუმცა, რადგან პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ხელახალი ნდობა ჯერ ვერ გამოუცხადა, ეს ქმნის გარკვეულ უხერხულობას ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც რამდენიმე დღეში, 13 მაისს, მთავრობამ თბილისში იბიარდ-ის ყოველწლიურ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. 21-22 მაისს ტარდება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რისი მოსამზადებელი ვიზიტები სწორედ მომავალ კვირას არის დაგეგმილი: ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება; ვიცე-პრემიერი კახა კალაძე — გერმანიაში; იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი — საფრანგეთში, ბელგიასა და ესტონეთში; დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი — თურქეთში; საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი — გერმანიაში, ბელგიაში, თურქეთსა და სლოვაკეთში; ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური — აზერბაიჯანში; შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური — გერმანიაში; სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, დავით ბაქრაძე — ესპანეთსა და დანიაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს მომავალი კვირიდან დაგეგმილი აქვს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები აშშ-ის სენატის დელეგაციასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, იბიარდ-ის პრეზიდენტთან, გერმანიის ბუნდესტაგის წევრებთან, ატლანტიკური საბჭოს დელეგაციასთან, ასევე პრემიერი გახსნის იბიარდ-ის ყოველწლიურ შეხვედრას, რომელსაც 60-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი და 2 ათასზე მეტი ბიზნესმენი დაესწრება.

ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმეა, თბილისმა ღირსეულად უმასპინძლოს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიც არის იბიარდ-ის ყოველწლიური შეხვედრა, რომელმაც საქართველოს კონკრეტული შედეგები უნდა მოუტანოს. მთავრობა ასევე ემზადება რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის და სწორედ ამ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობდა პრემიერ-მინისტრის მიმართვა, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გარემოებების შესახებ საქართველოს



პრემიერ-მინისტრმა ჯერ კიდევ 29 აპრილს ისაუბრა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურების დაჩქარების თხოვნით მიმართა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოებები მისაღები იყო საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის — ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის და ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებისთვის და, წინასწარი კონსულტაციების შედეგად, ისინი მზად იყვნენ, მთავრობისთვის ნდობის ხელახლა გამოცხადება შაბათს, 2 მაისს დაგეგმილ რიგგარეშე სესიაზე მომხდარიყო.

ასევე აღსანიშნავია, რომ წინასწარი კომუნიკაცია იყო მთავრობის ადმინისტრაციასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის. კომუნიკაცია შედგა პრემიერსა და პრეზიდენტს შორისაც. დასანანია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა ჩამოთვლილი ობიექტური გარემოებები, რითაც პროცესი ტექნიკურად შეფერხდა და ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა ერთი კვირით გადაიდო.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია, მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასთან დაკავშირებით, სრულიად ჩამოყალიბებულია და მთავრობა მზად არის, ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, როგორც უკვე ვთქვით, 1 მაისს თავდაცვის, გარემოს დაცვისა და სპორტის მინისტრების დანიშვნის შესახებ ბრძანება გამოსცა.

სამივე ბრძანება ინდივიდუალურადაა გამოცემული და ის 1 მაისით თარიღდება.

პრემიერი განმარტავს, რომ თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად, გიგლა აგულაშვილის გარემოს დაცვის მინისტრად და ტარიელ ხეჩიკაშვილის სპორტის მინისტრად დანიშვნა საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე განახორციელა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

შორენა მარსაგიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი გადაყენებისგან მამუკა ხაზარაძემ იხსნა“

## ზაალ კასრელიშვილი: „ეროვნული ფორუმი“ მარგველაშვილს გაურიგდება“

**რა დავალება მიიღეს რესპუბლიკელებმა, რამ გადაარჩინა პრემიერი, რატომ არის მშვიდად ბიძინა ივანიშვილი, რატომ გამოაჩინა ბრჭყალები პრეზიდენტმა? _ ამ თემებზე ‘ახალ თაობას~ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

— გიორგი მარგველაშვილი ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოაჩენდა ბრჭყალებს. მას ამის შანსი 1 მაისს მიეცა და ხელიდან არ გაუშვა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ის თავის თანამდებობას პიროვნება გიორგი მარგველაშვილის გაპიარებისთვის იყენებს. ამჯერადაც ასე მოხდა. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურას მისი ხელმოწერა სჭირდებოდა, მან ხელი არ მოაწერა და თავი კიდევ ერთხელ გაიპიარა. ის კანონის ფარგლებში მოქმედებს. ისეთ რბილ და საქმიან განცხადებებს აკეთებს, რომლებიც დასავლეთისთვის მისაღები და გასაგებია.

***— მარგველაშვილის თავშეკავება ვითომ მხოლოდ საკუთარი თავის გაპიარებას უკავშირდება?***

— ამ შემთხვევაში მარტო ეს მიზეზი არ არის. ამ გადაწყვეტილებით, პრეზიდენტმა რესპუბლიკელებს თავისი ძალა აჩვენა. რესპუბლიკელები დღეს ყველაზე მომგებიან სიტუაციაში არიან. მათი თანხმობის გარეშე ვერც ერთი პოლიტიკური აქტი ვერ განხორციელდება საქართველოში. ეს პრეზიდენტმაც კარგად იცის და მათ დროულად აჩვენა საკუთარი ძალა.

***— ამ ძალის დემონსტრირების მიზეზი რა არის?***

— მარგველაშვილმა და მისმა გუნდმა რესპუბლიკელებს დაანახეს,



რომ ისინი დამოუკიდებელ თამაშს ვერ ითამაშებენ. რესპუბლიკელების მხარდაჭერა, თავის მხრივ, პრეზიდენტსაც ესაჭიროება, მით უმეტეს, ახლა.

***— მაინცდამაინც ახლა რატომ სჭირდება მათი მხარდაჭერა?***

— ქვეყანა რიგგარეშე არჩევნებისკენ მიექანება. ამ ვითარებაში ის ყველაფერზე წავა, რომ ხეირი ნახოს. მას და მის გუნდს ახალი პოლიტიკური პოლუსის შექმნა სურთ.

***— პრეზიდენტის გუნდში ვის მოიაზრებთ?***

— სულ რამდენიმე კაცს. ცოტანი არიან, მაგრამ ამბიციური მიზნები აქვთ. უნდათ, რომ ახალი პოლიტიკური გაერთიანების პირველ ნომრად ჩაწერონ მარგველაშვილი. არ არის გამორიცხული, თავად შექმნან ახალი გაერთიანება.

***— ვინ შეიძლება ვიხილოთ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში?***

— ამ გაერთიანებაში „ეროვნული ფორუმი“ დიდი სიამოვნებით გადაბარგდება. გუბაზ სანიკიძის ნებისმიერი გამოსვლა მარგველაშვილისთვის გაგზავნილი მესიჯია. დასჭირდება თუ არა ისინი მარგველაშვილს, ვერაფერს გეტყვით. სანიკიძის და მისი გუნდის რეიტინგი ძალიან დაბალია.

***— ასე, რესპუბლიკელებიც 3%-იანი პარტიაა, მაგრამ კი ჩაიგდეს ქვეყანა ხელში.***

— რესპუბლიკელებისთვის შეთავაზებული თანამდებობები მათთვის ბოლო შანსია. ისინი ან დაამტკიცებენ, რომ საქართველოში წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ, ანდა საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური ველიდან.

***— ვინ მისცა მათ ეს შანსი?***

— მათმა პატრონებმა.

***— მოდით, ისევ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, მისი უარის შემდეგ უნდა ველოდოთ თუ არა მთავრობაში კიდევ რამდენიმე მინისტრის შეცვლას?***

— მთელი ეკონომიკური გუნდი შესაცვლელია. არ ვიცი, რას იზამს პრემიერი. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ მარგველაშვილი ბოლომდე ივაჭრებს. თავის ძალას დაანახებს ყველას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მასთან გარიგებაში არ შევა მმართველი გუნდი.

***— რაზე შეიძლება გარიგდნენ ისინი?***

— მარგველაშვილი, სულ მცირე, ავლაბრის პრეზიდენტის რეზიდენციაში დარჩება.

***— თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელის წარდგენას ათასი ჭორი მოჰყვა. თქვენ რას იტყვით, გჯერათ, რომ ეს ინიციატივა ღარიბაშვილისგან მოდიოდა?***

— არ ვიცი, ვინ იყო ხიდაშელის წარდგენის ინიციატორი. აქ მთავარი ისაა, რა მიზანი აქვს ქვეყანას. ამ ცვლილებით მათ დასავლეთს უნდა დაანახონ, რომ საქართველომ დასავლური კურსიდან არ გადაუხვია. სხვა მხრივ, ქალმა ჯარს როგორ უნდა უხელმძღვანელოს, არ ვიცი.

***— საუკუნეების წინ ქართულ ლაშქარს ქალი მეფე მეთაურობდა და საკმაოდ კარგადაც.***

— ოღონდ ის თამარი იყო, ეს კი თინაა. ხიდაშელიც და მისი პარტიაც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. პატრონების დაკისრებულ მისიას თუ ვერ შეასრულებენ, მხოლოდ მათი ჩანაცვლება მოხდება.

***— „ქართულ ოცნებაში“ რესპუბლიკელების ასეთ დაწინაურებას როგორ შეხვდებიან? კოალიციაში შემავალი სუბიექტები მათ მიმართ ხშირად ამჟღავნებდნენ ანტიპათიას.***

— ეს არაფერს ნიშნავს. ქართული პოლიტიკა სივერაგის და თვალთმაქცობის ნაზავად იქცა. 1992 წლის სამხედრო გადატრიალებიდან მოყოლებული, საქართველო უსამართლობის ბინძურ წვენში იხარშება. იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, ჩიხიც კი აღარ ჰქვია, ეს არის ორმო! ასე რომ, ანტიპათიასიმპათიებს დიდ ყურადღებას ნუ მივაქცევთ. რესპუბლიკელებს შესაძლოა ისეთმა ხალხმა დაუჭიროს მხარი, რომლებიც დღედაღამ მათ გინებაში არიან.

ქვეყანაში დიდი გარიგებები დაიწყო. საქმე სახარბიელოდ არ მიდის, რაც შემოდგომაზე რიგგარეშე არჩევნებით დასრულდება. თუ ეს მანამდე არ მოხდა.

***— რიგგარეშე არჩევნები ცუდია?***

— ეს ერთადერთი გამოსავალია. კარგი იქნებოდა, ეს ამბავი მაისის ბოლოსთვის მომხდარიყო. აქეთკენ მიდიოდა საქმე, მაგრამ ღარიბაშვილმა და მამუკა ხაზარაძემ ამის საწინააღმდეგოდ კარგი სპექტაკლი მოაწყვეს.

***— რა სპექტაკლზე საუბრობთ?***

— მაისში ისინი საქართველოში იბიარდის ეგიდით დიდი ღონისძიების მოწყობას აპირებენ. მამუკა ხაზარაძის დახმარებით, ღარიბაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა. ეს დიდხანს არ გაგრძელდება. საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა ყველამ დაინახა, რომ პრემიერი ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან მოქმედებს და თავის ინტერესებს ატარებს.

***— რიგგარეშე არჩევნები რამდენად აწყობს ბიძინა ივანიშვილს? გავრცელებული ინფორმაციით, ის და მარგველაშვილი ერთად მოქმედებენ და ქვეყანა აქეთკენ მიჰყავთ.***

— ბიძინა ივანიშვილს არც ამ და არც სხვა სიტუაციაში არავისთან გარიგება არ სჭირდება. რომელიმე პოლიტიკური პარტიის გადარჩენა მისი მიზანი ნამდვილად არ არის.

***— არც „ქართული ოცნების“ გადარჩენა უნდა?***

— „ქართულ ოცნებას“ გადასარჩენად არა აქვს საქმე. აქ ჯანსაღი პროცესები მიდის.

***— ჯანსაღ პროცესებში რას გულისხმობთ?***

— მიდის ჯანსაღი კონკურენცია. სწორედ ახლა გაირკვევა, კოალიციაში შემავალი პარტიებიდან რომელია ყველაზე ბრძოლისუნარიანი. გამოჩნდება, ვინ ვინ არის და ივანიშვილი მათზე დადებს ფსონს.

---

სამართალი

# პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლის კანდიდატურა დაასახელა

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს ორი ახალი მოსამართლის, მზია თოდუას და ეკა გასიტაშვილის კანდიდატურები დაასახელა. ეს

კანდიდატურები პარლამენტს გადაეგზავნება.

ამის შესახებ პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში განაცხადა, სადაც ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძესთან ერთად, ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.

გიორგი მარგველაშვილსა და ნინო გვენეტაძეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა ლაშა მაღრაძემ იმიტირებული სასამართლო პროცესების სხდომათა დარბაზი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ბიბლიოთეკა დაათვალიერებინა. ბიბლიოთეკა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით შეძენილი წიგნებით განახლდა.

ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— სასამართლო სისტემა და სასამართლო სისტემის მდგრადობა, კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. ის, რაც ამ სკოლაში ხდება, საფუძველს უყრის კვალიფიკაციას, საფუძველს უყრის იმ ადამიანებს, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ, რომლებიც თითოეული ჩვენგანის ბედ-იღბალს და საერთო ჯამში იმ ნდობას უკავშირდება, რომელსაც სახელმწიფო საზოგადოებისგან იმსახურებს.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მიმდინარე წელს, პროექტი „სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ განახორციელა.

პროექტის მთავარ მიზანს სამოსამართლო კანდიდატების, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეთა ეფექტიანი სწავლების გზით მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდა წარმოადგენდა.

ნიუსპრესი

---

# ვაზაგაშვილის საქმე — მეორე დნმ როინ ასანიძეს არ ეკუთვნის

იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე გენეტიკური ექსპერტიზა დასრულებულია, რომლის შედეგებსაც მთავარი პროკურატურა ასაჯაროებს.

გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის, როინ ასანიძის გენეტიკური პროფილი ნივთმტკიცებებზე არ არის. შესაბამისად, 20 იანვარს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელყუმბარის ამფეთქი ფალიის სახელურზე აღმოჩენილი დნმ როინ ასანიძეს არ ეკუთვნის.



— საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ბრალდებულ გიორგი სოსანაშვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმდინარე წლის 25 აპრილს, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის როინ ასანიძისაგან დაცვის მხარისა და დაზარალებული მხარის წარმომადგენლების თანდასწრებით, აღებული იქნა დნმ-ის ნიმუში, რომელიც საექსპერტო კვლევისათვის ექსპერტიზის ბიუროს გადაეგზავნა, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

28 აპრილს, გია სოსანაშვილის ინიციატივით გაიხსნა მთავარ პროკურატურაში მათივე თანდასწრებით დალუქული დნმ-ის ნიმუში და გენეტიკური კვლევა ჩაუტარდა.

— ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ნივთმტკიცებაზე აღმოჩენილი მეორე დნმ-პროფილი არ ეკუთვნის შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომელს, როგორც ამას სოსანაშვილი და მისი ადვოკატი საჯაროდ აცხადებდნენ, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურაში თვლიან, რომ გია სოსანაშვილისა და მისი ადვოკატის, სოსო ჯოგლიძის განცხადებები ტყუილია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად და მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობას წარმოადგენს.

იური ვაზაგაშვილი 20 იანვარს, კასპის რაიონში, სოფელ ყარაფილაში, საკუთარი შვილის, კორტების სპეცოპერაციის შედეგად მოკლული ზურა ვაზაგაშვილის საფლავზე მომხდარი აფეთქების შედეგად, ადგილზევე გარდაიცვალა.

---

# მოქალაქეს ტანზე 78.900 დოლარი უპოვეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ საქართველოს მოქალაქეს, დათვალიერების შედეგად სხეულზე დამალული არადეკლარირებული თანხა — 78.900 აშშ დოლარი აღმოაჩინდა.

სტამბულის მიმართულებით მიმავალი მგზავრი, საქართველოს მოქალაქე ბ.ი. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოსა და საბაჟო გამშვები პუნქტის „თბილისის აეროპორტის“ თანამშრომლებმა ეჭვის საფუძველზე შეაჩერეს.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 13-ე ნაწილის თანახმად, მოქალაქეს სანქციის სახით 3.000 ლარის ოდენობით, ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

მედიანიუსი

---

# ვარკეთილში მანქანამ ქალი მოკლა

თბილისში, ვარკეთილში, სატვირთო ავტომობილი ქვეითად მოსიარულე შუახნის ქალს შეეჯახა, რის შედეგადაც ქალი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას.

---



# კახა კუკავა ისევ დააკავეს

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა და „თავისუფალი საქართველოს“ წევრები ბექან გუნავა, ირაკლი თორდია და ერემია ბეროშვილი, სამართალდამცველებმა „სი-თი პარკის“ წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის დროს დააკავეს.

„თავისუფალი საქართველო“, „რეფორმატორები“ და „ქრისტიან დემოკრატული მოძრაობა“ კომპანია „სი-თი პარკის“ წინააღმდეგ აქციებს მართავენ.

ამ პარტიების მიერ შემუშავებულ იქნა დეკრეტი, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში კომპანია „სითი პარკი“-ს მიერ განხორციელებული საქმიანობა შეფასებულია დედაქალაქის მაცხოვრებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შემლახავ პროცესად.

პარტიები კომპანიისა და თბილისის მერიას შორის არსებული ხელშეკრულების, „სი-თი პარკის“ მიერ მოქალაქეებისთვის დაკისრებული ჯარიმების და კერძო მესაკუთრეების სახლების ეზოებში კომპანიის მიერ შემოღებული შეზღუდვების ბათილად ცნობას მოითხოვენ.

ნიუსპრესი

# ხათუნა ლაგაზიძე: რესპუბლიკელებმა საპარლამენტო გადატრიალება მოაწყვეს“

## „მცირერიცხოვანმა ფრაქციამ თავისი ნება მოახვია მთავრობას და პარლამენტს“

ნათია ხურცილავა

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური გამქრალობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მათ დანარჩენ პოლიტიკური სპექტრის მასტერ კლასი ჩაუტარეს.**

***— ქალბატონო ხათუნა, როგორ შეაფასებთ ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, სამთავრობო ცვლილებებს რამდენად ეთანხმებით?***

— თუ ერთი სიტყვით შევაფასებთ ამ პროცესს, მე მას ჯანსაღ პროცესს ვუწოდებდი. ფაქტობრივად, დასრულდა დემოკრატიული განვითარების 25 წლიანი ციკლი. მე ვიტყოდი, დასრულდა წარმატებით.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ ჩვენ მივიღეთ ხელისუფლების შტოთა შორის იმგვარი ბალანსი, როგორიც საქართველოში არ გვქონია. ეს პრეცედენტი არ ყოფილა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეში, როდესაც პრეზიდენტი რეალურად არის დამოუკიდებელი ფიგურა. პარლამენტი მართავს და აკომპლექტებს მთავრობას. თითქოს მთავრობა ამ შტოებს შორის ყველაზე ცუდი რგოლი ჩანს, მაგრამ პოლიტიკური ბალანსი არის რეალურად ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება.

***— თუმცა დაძაბულობა მაინც შეინიშნება.***

— შეიძლება თავად ისინი ამას დღეს ასე არ აღიქვამდნენ და უფრო მტკივნეული იყოს ის პროცესები, რაც დღეს მიმდინარეობს, რადგან ვიღაცის ძალაუფლება იზრდება, ვიღაცის მცირდება და ა.შ., მაგრამ მომავლის გადმოსახედიდან ეს ჩაიწერება ამ ხელისუფლების მთავარ მიღწევად. მახსენდება ბიძინა ივანიშვილის განცხადება ევროპის გაოცების შესახებ საქართველოს დემოკრატიით, ამ თვალსაზრისით ნამდვილად შეიძლება გაოცებაც, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში ის, რაც საქართველოში ხდება, ნამდვილად არის გარღვევა.

***— ეს ცოტა ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის?***

— რა თქმა უნდა, ეს ყოველივე შეიცავს გარკვეული დესტაბილიზაციის მოლოდინს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სიტუაცია დალაგდება, მთავრობა დამტკიცდება. ამ ფონზე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე, ვგულისხმობ ქვეყნის პროდასავლური იმიჯის დადასტურებას. ბოლო ერთი წლის მანძილზე, როგორც შიგნით, ასევე გარეთ, საგარეო პოლიტიკურ კურსზე გარკვეული ხმები იყო. ერთია სიტყვიერი დეკლარირება და მეორეა რეალური ნაბიჯები. ამ მხრივაც საქართველომ მნიშვნელოვანი შემხვედრი ნაბიჯი გადადგა დასავლეთის მიმართულებით.

***— ეს რაში გამოიხატება?***

— აღმასრულებელ ხელისუფლებაში წამყვან პოსტებს იკავებენ პროდასავლელი პოლიტიკოსები, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი. ამ ადამიანების ბიოგრაფია მეტყველებს მათ რეალურ პროდასავლურობაზე. ძალიან მნიშვნელოვანი რამ გამოგვრჩა ამ სამთავრობო კაბინეტის ფორმირების პერიპეტიების ფონზე.

***— რას გულისხმობთ?***

— მე ვგულისხმობ აზერბაიჯანში მომხდარ ფაქტს, როდესაც საქართველოს ძებნილი პრეზიდენტი მოქმედმა პრეზიდენტმა ალიევმა ძალიან მაღალ დონეზე მიიღო. ასევე ვგულისხმობ იმ ფაქტს, როდესაც საქართველოს პროკურატურის მოთხოვნაზე აზერბაიჯანმა სააკაშვილის გადმოცემაზე უარი გვითხრა. ეს პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს იგნორირებას უკეთებს. მსგავსი დამოკიდებულება პირველი შემთხვევა არ არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან. უკრაინამ რამდენიმე თვით ადრე დეკლარირებულად გამომწვევი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების უკან რომ ამერიკის პოლიტელიტა დგას, ეს სიახლე არავისთვის არ არის. ამაში იკითხება ის, რომ ამერიკელებიც დიდად არ დაგიდევენ საქართველოს ხელისუფლების იმიჯს და სურვილებს. ეს ყველაფერი ძალიან საშიშ პრეცედენტს ქმნიდა იმისა, რომ საერთაშორისო იზოლაციისკენ არ წასულიყო საქართველოს ხელისუფლება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კიდევ ერთი დასკვნა, რაც აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ, არის ის, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ ერთგვარი საპარლამენტო გადატრიალება მოახდინა.

***— სად არის გადატრიალება?***

— ვგულისხმობ იმას, რომ რამდენიმეკაციანმა ფრაქციამ ფაქტობრივად მთავრობა დააკომპლექტა და თავისი ნება მოახვია მთავრობას და პარლამენტს. რესპუბლიკელების ეს სვლა თუ ჭკუის სასწავლი არ იქნა „ქართული ოცნებისთვის“, მას უფრო და უფრო გაუჭირდება მომავალში. რაოდენობას ხარისხმა აჯობა. ხარისხობრივად უფრო კვალიფიციურმა და გამოცდილმა, თუმცა მცირერიცხოვანმა რესპუბლიკელებმა აბსოლუტურად დაჯაბნეს პოლიტიკურ ბრძოლაში გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი „ქართული ოცნების“ ფრაქცია. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ მორჩილების პრინციპით შედგენილი ვერც პარლამენტი და ვერც მთავრობა წარმატებული ვერ იქნება, როგორც კი მის წინააღმდეგ ინტელექტუალურად უფრო მაღალი საპირწონე გამოჩნდება. ამიტომ, თუ მომავალი საპარლამენტო სია „ქართულმა ოცნებამ“ ისევ მორჩილებით დააკომპლექტა და არა — მოაზროვნეებით, მას უკვე შეექმნება ხელისუფლების შენარჩუნების პრობლემა.

***— „ქართული ოცნების“ მომავალი გამარჯვება და ხელისუფლების შენარჩუნება მათ საპარლამენტო სიაზე იქნება დამოკიდებული?***

— ელემენტარულად, პოლიტიკურ დებატებში გამომსვლელი არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. რაც შეეხება თავად რესპუბლიკელებს, მათი მომავლისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტრამპლინია, რადგან თავდაცვის სამინისტრო თავისთავად შეიცავს რეიტინგის გარკვეულ ხარისხს. იქ მისულ მინისტრს გამზადებული რეიტინგი თავისთავად ხვდება. სადამდე გაზრდის ამ რეიტინგს, თუ პირიქით, ეს დამოკიდებულია თავად მინისტრზე.

***— თუ თინა ხიდაშელი გახდა თავდაცვის მინისტრი, როგორი მინისტრი შეიძლება იყოს ის?***

— რესპუბლიკელების მიმართ არ გამოვირჩეოდი ეპითეტებით, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ შეუძლებელი შეძლეს. ეფექტური გაკვეთილი უჩვენეს დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს. უპირველესად, „ქართულ ოცნებას“, მის ხელმძღვანელ პირებს. დეკემბრის ბოლოს ძალიან ბევრი საუბრობდა იმაზე, რომ რესპუბლიკელებს კარისკენ მიუთითეს, მაგრამ მათ სულ რამდენიმე თვე დასჭირდათ იმისთვის, რომ სიტუაცია შემოეტრიალებინათ. დღეს ისინი წამყვან პოსტებს იკავებენ და პარლამენტსაც ისინი აკონტროლებენ. ფორმალურად პარლამენტის თავმჯდომარე თითქოს შიგნით პროცესებს ვერ მართავს, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ის ფლობს. ასევე მინდა უზენაეს სასამართლოზე გავაკეთო აქცენტი. რა თქმა უნდა, უზენაეს სასამართლოზე რესპუბლიკელების პირდაპირ გავლენაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ მისი თავმჯდომარე არის ადამიანი, რომელსაც რესპუბლიკური წარსული აქვს.

***— პრეზიდენტის პოზიციაზე რას იტყვით? ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, მარგველაშვილმა არ დაასახელოს ღარიბაშვილის კანდიდატურა. ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***



— ამ შემთხვევაში მოედანი პარლამენტი ხდება და ბურთიც მის ხელში გადავა. პარლამენტში თუ შეიქმნა თეორიული შესაძლებლობა, რომ წარდგენილი მთავრობის შემადგენლობა ჩავარდება, კვლავ პარლამენტზე გადადის დატვირთვა. პრეზიდენტის ხელში არ არის ბერკეტი მას შემდეგ, რაც პარლამენტში გადავა პროცესები.

***— ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავთ?***

— თითქმის. ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობა თუ დადგებოდა, ის აუცილებლად ლარის დევალვაციას მიებმებოდა. ამ ეტაპზე ვადამდელი არჩევნების ალბათობა ძალიან დაბალია.

***— სამთავრობო გუნდის ცვლილება გაგრძელდება?***

— აუცილებლად გაგრძელდება.

***— მით უფრო, რომ განახლებულ მინისტრთა კაბინეტს ხელახალი ნდობის მოპოვება პარლამენტისგან აღარ დასჭირდება.***

— დიახ. ლარის კურსი თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნას ანგარიშს არ გაუწევს. ეროვნული ვალუტის დღევანდელი მდგომარეობა მსხვერპლს ნამდვილად მოითხოვს. თუმცა, ზაფხული მოდის და ამ მხრივ ოდნავ შეიძლება ვითარება გაუმჯობესდეს. ტურიზმი თუ უფრო განვითარდა და ტურისტები შემოვიდნენ, ეს ლარის გამყარებას ხელს შეუწყობს. დაველოდოთ, ამ მხრივ როგორ განვითარდება მოვლენები.

# ანზორ აბრალავა: ღარიბაშვილის პოზიციები შესუსტდა“

## „ერთი პიროვნება მინისტრი კი არ უნდა იყოს, საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ყოფილი დეპუტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ანზორ აბრალავა, მიმდინარე სამთავრობო ცვლილებებს კანონზომიერს უწოდებს. მისი აზრით, გადაადგილებებს ვითარების შეცვლა უნდა მოჰყვეს. თუ ეს არ მოხდა, მმართველი გუნდის რესურსი ამოწურული იქნება. „ახალი თაობა“ ანზორ აბრალავას ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა.**

**ანზორ აბრალავა:**

— მთავრობაში მომხდარი ცვლილებები სრულიად კანონზომიერია. არანაირი მოულოდნელობა ამაში არ არის. ამ გადაადგილებებს აქვს, ჯერ ერთი, განმუხტვის, მეორე, პოლიტიკური ცვლილებების ეფექტი. სხვა საკითხია, შეიცვლება თუ არა რეალურად სიტუაცია გადაადგილებებით.

***— ანუ გაუმჯობესდება თუ არა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა?***

— არა მარტო ეს. ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები და დაპირებები. თუ არაფერი შეიცვალა, მმართველი გუნდის რესურსები ამოწურული იქნება.

***— რესპუბლიკელების წინ წამოწევა მოსალოდნელი იყო?***



— მთავრობაში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების მოწვევა ლოგიკურია. პოლიტიკური ველი ცარიელია. აუცილებელია დასაყრდენი ძალების უზრუნველყოფა, თუმცა, არ მიმაჩნია სწორად, რომ თანამდებობებზე ადამიანებს მხოლოდ პარტიული ნიშნით ასახელებენ და ნიშნავენ. ამჯერადაც შეიძლებოდა პროფესიონალების მოძებნა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

***— რამდენიმე თვის წინ რესპუბლიკელები საუბრობდნენ იმაზე, რომ ისინი გაინაწილებდნენ პასუხისმგებლობას, თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში უფლებები და პოსტები ექნებათ.***

— რასაც მოითხოვდნენ, სწორედ ის მიიღეს. პასუხისმგებლობა საქართველოში რატომღაც სხვანაირად ესმით. პასუხისმგებლობის ასაღებად ბევრი მზადაა ხოლმე, თუმცა, საბოლოოდ, პასუხს არაფერზე აგებს. ასე მოხდა ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში. მის ლიდერებს და წევრებს ეპატიათ ის, რაც არ ეპატიებოდათ სხვა ქვეყნებში. გერმანიასა და ჰიტლერის პარტიას მასშტაბებით ვერ შევადარებ, თორემ სხვა ყველაფრით ნაცმოძრაობა ფაშისტური პარტია იყო. რატომ არის საქართველოში დასაშვები ის, რაც დიდ დანაშაულად ითვლება გუანტანამოსა და აბუგრეიბში? ეს არ არის წვრილმანი. ეს არსებითი საკითხია. გვეუბნებიან, წარსულზე ნუ ილაპარაკებთ, ნაციონალების მიერ ჩადენილ საქმეებს ნუ გაიხსენებთო. მაგ ლოგიკით, ყველა დანაშაული წარსულშია მომხდარი და არ არის საჭირო არც სასამართლო და არც პროკურატურა.

***— ამ სიტუაციას ამძაფრებს სააკაშვილის დაკავებისა და გადმოცემის მოთხოვნები მაშინ, როცა წინასწარ ცნობილია, რომ ეს ქვეყანა (მაგალითად, აზერბაიჯანი) ამას არ გააკეთებს.***

— სააკაშვილის გადმოცემის მოთხოვნებმა საერთოდ კომიკური სახე მიიღო. ხელისუფლება ძალიან უსუსურად გამოიყურება და მსოფლიოს ვერ არწმუნებს თავის სიმართლეში.

***— სამთავრობო ცვლილებებს დავუბრუნდეთ. ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციები უფრო შესუსტდა. არჩევნებამდე მასაც გადააყენებენ?***

— მისი პოზიციები შეირყა. არც მისი მოცილებაა გამორიცხული. ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდის. საერთოდ, რთული სიტუაციაა. ისიც მაფიქრებს, რომ ერთ-ერთი მინისტრი ის კაცია, რომელიც ხელისუფლებაში კი არა, საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს. ახლა მისი ვინაობის დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ტრაგედიაა, როცა მინისტრად სვამენ პირს ასეთი წარსულით, დღევანდელობითა და პერსპექტივებით. ის თაღლითია და მასზე მასალებიც არსებობს.

***— ლარის კურსის გამყარება თუ არის მოსალოდნელი?***

— ლარის კურსის პოზიტიური ცვლილებისათვის კომპლექსური და ოპერატიული ღონისძიებებია გასატარებელი. შესაცვლელია საინვესტიციო ვითარება. საუბედუროდ, არსებობს ბარიერები და შეფერხებები უცხოური და ადგილობრივი კაპიტალისათვის. მთავრობამ გადაწყვეტილებები სწრაფად უნდა მიიღოს. ინვესტორებისათვის ასამოქმედებელია ერთი ფანჯრის პრინციპი. თუ ასეთი ზომები არ გატარდა და ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება არ გამოიჩინა, ლარის კურსსა და ეკონომიკას არაფერი ეშველება. ღმერთმა ქნას, რომ მთავრობამ სწორად იმოქმედოს. პირადად მე ასეთი დადებითი ცვლილებების იმედი ნაკლებად მაქვს.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
[illegible]
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
[illegible]
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

2015, 2 — 3 მაისი, №100

# ნოდარ ხადური: გაცვლით კურსზე ზეგავლენას პოლიტიკური გაურკვევლობა ახდენს



ფინანსთა მინისტრ, ნოდარ ხადურის განცხადებით, გაცვლით კურსზე ზეგავლენას პოლიტიკური გაურკვევლობა ახდენს.

— ძალიან სამწუხაროა, თავისთავად ცხადია, რომ როდესაც საგარეო ფაქტორები განაპირობებს ვალუტის რყევას და ჩვენ ამაზე არაერთხელ გვქონდა საუბარი, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური გაურკვევლობაც თავის ზეგავლენას ახდენს გაცვლით კურსზე, — განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ვალუტის კურსი ძალიან მალე დასტაბილურდება.

— ლარის გაცვლით კურსზე მოქმედებს ძალიან ბევრი ფაქტორი. მე არაერთხელ გამიკეთებია განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ფისკალური ფაქტორები ამ ეტაპზე ლარის კურსზე ზემოქმედებას არ ახდენს, — აღნიშნა ხადურმა.

მინისტრმა განმარტა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური თემა შესაძლოა გაცვლით კურსზე ზემოქმედებდეს.

# ტექსტილის ბიზნესი კოტრდება

„საგადასახადო კოდექსში" 2014 წლის 12 დეკემბერს შესული ცვლილებები ტექსტილის ბიზნესს ძვირი დაუჯდება.

კანონი სამკერვალო ინდუსტრიას აღნიშნული პერიოდიდან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან ათავისუფლებს, თუმცა გასულ წლებში შესრულებულ ოპერაციებს უბეგრავს.

დგას თუ არა სამკერვალო ბიზნესი დახურვის საფრთხის ქვეშ და როგორ ხვდება ასეთ გადაწყვეტილებას ტექსტილის ინდუსტრია?

2014 წლის 12 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით საქონლის გადამუშავების დროს გაწეული მომსახურება დღგ-ს გადასახადისგან ოფიციალურად გათავისუფლდა.

თუმცა, ამ ბიზნესს დღგ-ს შემოსავლების სამსახური კანონის ძალაში შესვლამდეც არ არიცხავდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ტექსტილის ინდუსტრიას 2014 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში დაგროვილი დღგ-ს გადახდა მოუწევს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურში ასეთი განმარტებები გაკეთდა:

— საგადასახადო კოდექსში 2014 წლის 12 დეკემბრის კანონით, საგადასახადო კოდექსს დაემატა ,,ჩ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც დღგ-ისგან გათავისუფლდა სასაქონლო ოპერაციის განმახორციელებლის მიერ მომსახურების გაწევა. წინამდებარე ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და იგი არ ვრცელდება შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებას უკვე მოჰყვა ტექსტილის ბიზნესის მღელვარება. როგორც სამკერვალო ფაბრიკა ,,ელ ჯი□□– ს დამფუძნებელი ლაურა ღაჭავა აცხადებს, თუ დღგ-ს გადახდა 2014 წლის დეკემბრამდე გაწეულ მომსახურებაზე გავრცელდება, იძულებული გახდება, ფაბრიკა დახუროს.

— ჩვენ ძალიან დიდი პრობლემა შეგვექმნება იმიტომ, რომ კაპიკებს გვიხდის უცხოელი, რომელიც გახლავთ ცნობილი ბრენდები, არ გადაგიხდიან დღგ-ს და გავლენ ესენი და მე იძულებული გავხდები, რომ ფაბრიკა დავხურო. 300 ქალს, რომელსაც ვაჭმევ და უფასო ტრანსპორტი აქვთ და ყველას გამოსდის 500-600 ლარი ხელფასი, არც ერთს არ დავტოვებ და წასაღებს ჩავაბარებ ფინანსთა სამინისტროს□— აღნიშნა ლაურა ღაჭავამ.

როგორც შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, გადასახადის გადამხდელები დაგროვილი დღგ-ს გადახდას შემსუბუქებული პირობებით შეძლებენ.

საგადასახადო ვალდებულების შემსუბუქების მიზნით, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანების გადავადებისა და საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტებს, რომლებითაც გადასახადის გადამხდელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობის უფლებამოსილება გააჩნიათ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საგადასახადო შემოწმებები უკვე დაიწყო აჭარაში მდებარე ტექსტილის საწარმოებში. გადასახადების დაკისრების პარალელურად კი ზოგიერთი ინვესტორი ბიზნესის საქართველოდან გატანაზე ფიქრობს. როგორც ჩანს, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები ისევ გადაიხედება.

ბიზნესომბუდსმენის აპარატი, გამოსავლის მოძებნის მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებს ფინანსთა სამინისტროსთან. როგორც ბიზნესომბუდსმენის მოადგილე განმარტავს, რატომ არ იხდიდნენ დღგ-ს საწარმოები კანონის ამოქმედებამდე, ამის შესახებ გამარტებები შემოსავლების სამსახურმა უნდა გააკეთოს. თუმცა, თუ საწარმოებს კანონის ამოქმედებამდე პერიოდზე დღგ-ს დაარიცხავენ, ეს ბიზნესი ასეთ ტვირთს ვერ გაუძლებს.

— საგადასახადო ომბუდსმენის აპარატს აქვს ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან და შემოსავლების სამსახურთან. ვეძებთ გამოსავალს, რომ რა ფორმით შეიძლება ავაცილოთ ამ ხალხს ეს დღგ, რომელიც ან არ დარიცხვიათ საგადასახადო ორგანოს მიერ, ან თვითონ არ დაუდეკლარებიათ და არ გადაუხდიათ. იმათზე, ვისაც დადეკლარებული აქვს და გადახდილი აქვს, ცხადია, არ გავრცელდება, — აღნიშნა ბიზნესომბუდსმენის მოადგილემ ზურაბ ძნელაშვილმა.

როდის შევა მორიგი ცვლილებები კოდექსში, განხილვის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

ბიზნესკონტაქტი

# მოსალოდნელია თუ არა საქართველოში პროსტიტუციის ლეგალიზება?

ევროპის საკმაოდ ბევრ ქვეყანაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია და ქვეყნის ეკონომიკაში საკუთარი წვლილი შეაქვს.

ცხადია, ამას ჩვენს ქვეყანაზე ვერ ვიტყვით, სადაც პროსტიტუცია კანონით აკრძალულია, მაგრამ ეს ბიზნესი მაინც ყვავის. დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში საროსკიპოები საგრძნობლად მომრავლებულ ჩინურ-ტაილანდური მასაჟების სალონებს, სასტუმროებსა და ზოგიერთ ბარ-რესტორნებს ამოფარებული მუშაობენ. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ცირკის ტერიტორია კარგა ხანია, რაც ბავშვებისთვის გასართობი ადგილის ნაცვლად, სექს-მუშკების „სამსახურთან" ასოცირდება.

### რა სიტუაციაა ამ მხრივ ევროპაში?

საერთო სურათი ასეთია: ქვეყნების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ებრძვის პროსტიტუციას, სხვები კი მის ლეგალიზებას ამჯობინებენ, რასაც ქვეყნის ბიუჯეტისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვით ხსნიან. ძირითადი ქვეყნები, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, საბერძნეთი, უნგრეთი, ლატვია და იტალიაა. ერთი სიტყვით, პროსტიტუცია ნელ-ნელა ჩრდილიდან გამოდის. მეტიც, ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ტრადიციული ბიზნესის სფეროებსაც. მსოფლიოში კარგად ცნობილი ბორდელის, „დეილი პლანეტის" მფლობელებმა, რომელიც მელბურნში მდებარეობს, ბორდელების აქციებით ვაჭრობა დაიწყეს.

საერთო ჯამში, მათი ფასიანი ქაღალდების ფასი არცთუ მაღალია — 2, 4 მილიონი დოლარი. თუმცა, გაჩერებას არ აპირებენ.

ამ ქვეყნებში სექს-ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებრივ ადგილებში სპეციალური შენობებია გამოყოფილი, სადაც სექს-მუშაკები კლიენტს ფულის სანაცვლოდ სექსუალურ მომსახურებას სთავაზობენ. ამ მხრივ ნიდერლანდები და გერმანია ლიდერობენ. პრაქტიკულად, ეს ქვეყნები საერთაშორისო სექს-ტურიზმის ამოსავალ წერტილად ითვლება. ხოლო ამსტერდამში, რომელიც ცნობილია პროსტიტუციის ღია ფანჯრად, ამ საქმიანობას მწვანე შუქი აქვს ანთებული. მეტიც, სექს-მუშაკებს აქ ძეგლებსაც უდგამენ.

თუმცა, არიან ქვეყნები, რომლებიც მკვეთრად გაემიჯნენ პროსტიტუციის ლეგალიზებას და ეს ფაქტი ღიად დააფიქსირეს — დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და საფრანგეთი.

### როგორ ითვლიან პროსტიტუციიდან შემოსულ ფულს?

შარშან პირველად დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არალეგალური ბიზნესიდან შემოსული თანხების ბრუნვის მონაცემებს ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკაში ასახავს. ამგვარად, 2014 წელს ამ გზით დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში 10 მილიონი ფუნტი შევიდა.

ევროსაბჭოს სტატისტიკის სამსახურის სპეციალისტებმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური სახელმძღვანელო შეიმუშავეს, რომელიც ქვეყნებს არაკანონიერი გზით შემოსული მოგების გაზომვაში დაეხმარება. მასში ხაზგასმულია, რომ არალეგალური ნარკოტიკები და პროსტიტუციის გამოყენება კერძო პირების მიერ ხდება და არა — კომპანიების. აქედან გამომდინარე მიიჩნევენ, თუ ამ თანხების დათვლა არ მოხდება, მაშინ გაუგებარი იქნება, ქვეყანაში რა რაოდენობის თანხა გამომუშავდა უკანონო ნარკოტიკული საშუალებებისა და სექს-ინდუსტრიის სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არ აქვს, შემოსავლის წყარო დაფარულია თუ არა, არაკანონიერი გზით მიღებული თანხაც ქვეყნის ეკონომიკაში ისევე ცირკულირებს, როგორც კანონიერი გზით მოპოვებული.

რამდენად რეალურია საქართველოში პროსტიტუციის ლეგალიზება?

იურისტი, უფლებადამცველი ციალა რატიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში პროსტიტუციის ლეგალიზების ალბათობა ძალიან დაბალია.

— ცხადია, ჩვენს ქვეყანაში სექს-მუშაკების პრობლემა დგას, მათი უფლებები ირღვევა, მაგრამ პროსტიტუციის ლეგალიზების შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ. ამით შეიძლება ხელი შევუწყოთ ტრეფიკინგის დაკანონებას. ნურც ერთი ქვეყანა ნუ იტყვის, რომ პროსტიტუციის ლეგალიზების შემთხვევაში, ტრეფიკინგის პრობლემა მოხსნილია, — განაცხადა ციალა რატიანმა.

ის ფიქრობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ლეგალური ბორდელით ძალიან მცირე ნაწილი ისარგებლებს, რადგან ასეთი სახის ურთიერთობის აფიშირებას ყველა ერიდება.

— ქვეყანაში ჩამოსულმა უცხოელმა შეიძლება ამგვარი საროსკიპოებით ისარგებლოს, ფულიც გადაიხადოს, მაგრამ საერთო ჯამში, ამ სისტემის მოსაწესრიგებლად გაწეული ხარჯი სახელმწიფოს იმაზე ბევრად მეტი დაუჯდება, ვიდრე პროსტიტუციის გზით შემოსული თანხების რაოდენობა, — განაცხადა ციალა რატიანმა.

სალომე გოგოხია, ბიპიენი

# რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საქართველომ გრანტი მიიღო

საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორისსაგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, რეგიონებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებისთვის საქართველომ გრანტი მიიღო.

ხელშეკრულებას ხელი ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა ჰენრი კერალიმ მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიას ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორი ილია დარჩიაშვილი დაესწრო.

დოკუმენტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, , ქვეყანაში 2014 წლიდან მიმდინარე „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის" თანმდევი ღონისძიებების დაფინანსებისთვი, 5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს.

ნოდარ ხადურის თქმით, მსოფლიო ბანკი საქართველოს დახმარებას განაგრძობს.

— მისი მხარდაჭერით საქართველოსთვის მოძიებულ იქნა დამატებითი ფინანსური რესურსი, რომელიც მოხმარდება ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას, რათა მოსახლეობამ რეგიონებში მიიღოს სრულყოფილი მომსახურება, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

ჰენრი კერალის თქმით კი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან დღეს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დაფუძნებისთვის მნიშვნელოვანია.

ნიუსპრესი

# საია მთავრობას შრომის ინსპექციის შექმნას სთხოვს

,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მშრომელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ დღეისათვის შრომითი უფლებების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, 2014 -2015 წლების განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, შრომითი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საიას არაერთმა მოქალაქემ მიმართა.

— მომართვების ძირითადი ნაწილი შეეხებოდა სამსახურიდან გათავისუფლების, ზეგანაკვეთური სამუშაოს, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების, კომპენსაციის გაცემის, იძულებითი განაცდურის საკითხებს. პრობლემურ საკითხად რჩება დისკრიმინაცია, მათ შორის გენდერული ნიშნით, როგორც წინასახელშეკრულებო, ისე სახელშეკრულებო პერიოდში, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

საია აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არჩევნების შემდგომ, ჩატარებული საჯარო მოხელეთა ატესტაცია და კონკურსები.

ორგანიზაციის ინფორმაციით, აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული დარღვევების თაობაზე საიას არაერთმა პირმა მიმართა, რომლებიც მათი უკანონოდ გათავისუფლებისა და სამსახურის დატოვების მოთხოვნით განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებზე აქტიურად საუბრობდნენ.

— ატესტაციაკონკურსის ხარვეზები საიას პირველადი შეფასებითაც გამოვლინდა. ამასთან, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საჯარო სამსახურიდან თანამშრომელთა გათავისუფლება დაწესებულების რეორგანიზაციის საფუძვლით ხდებოდა, თუმცა, რეალურ რეორგანიზაციას ადგილი არ ჰქონია და მხოლოდ, ფორმალურად, თანამდებობათა დასახელების ცვლილება ხდებოდა გათავისუფლების საფუძველი, — აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

როგორც საიაში აცხადებენ, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დასაქმებულთა მხრიდან, სამსახურის დაკარგვის შიშით, მათი უფლებების დაცვის მიზნით სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე უარის თქმა.

საია მთავრობას მოუწოდებს, ეფექტური შრომის ინსპექცია შექმნას, რომელიც დასაქმებულთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

— მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არსებობდეს სათანადო სახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმი — შრომის ინსპექცია, რათა დაცული იყოს დასაქმებულთა უფლებები და მათ მიეცეთ სათანადო პირობებში მუშაობის შესაძლებლობა, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

ნიუსპრესი

# ლარი დოლართან გამყარდა, ევროსთან გაუფასურდა

1 დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.3303 ლარი გახდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვით, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 2 მაისიდან 1 დოლარის შეძენა 2.3303 ლარად იქნება შესაძლებელი. ლარის კურსის ცვლილებამ 0.0024 ლარი შეადგინა.

სამაგიეროდ, ლარი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, 2 მაისიდან 1 ევროს შეძენა 2.6248 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა 1 მაისს მოქმედი კურსი 2.6089 ლარს შეადგენდა.

ლარის კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0159 ლარი შეადგინა.

# საგადასახადო შეღავათი 1.500 დაჯარიმებულ ავტოიმპორტიორს შეეხება

საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი შეღავათი დაახლოებით 1.500 დაჯარიმებულ ავტოიმპორტიორს შეეხება.

თანხა, რომელიც მათ ამჟამად სანქციის სახით აკისრიათ, 140.000 ლარამდეა.

აღნიშნული ინფორმაცია პარლამენტს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა ხუციშვილმა მიაწოდა.

მთავრობის ინიციატივით „საგადასახადო კოდექსში" დაგეგმილი ერთ-ერთი ცვლილებება არის ის, რომ პირები, რომლებიც ფლობენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს, თავისუფლდებიან საგადასახადო სანქცია-საურავებისგან იმ შემთხვევაში, თუ 2015 წლის 1 სექტემბრამდე აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების წარდგენას და გაფორმებას უზრუნველყოფენ.

— ეს არ არის ერთადერთი შეღავათი, რომელსაც ავტოიმპორტიორები მიიღებენ. მათთვის განბაჟების 45-დღიანი ვადა გაზრდილია 60 დღემდე. გარდა ამისა, მცირდება საბაჟო საწყობში შენახვის თანხები. პაკეტი ავტოიმპორტიორებს შესაძლებლობას მისცემს, დააბალანსონ ზარალი, რომელიც მათ მიიღეს, — განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

ბიპიენი

# შეუძლია თუ არა პრეზიდენტ მარგველაშვილს პრემიერ ღარიბაშვილის შეცვლა

გულიკო ბალაძე

## „მარგველაშვილმა უნდა წარადგინოს მთლიანად განახლებული მთავრობის ვარიანტი“

საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკოსი თენგიზ დიხამინჯია ესაუბრება.

***— ბატონო თენგიზ, ბოლო პერიოდში რამდენიმე მინისტრის გადადგომამ დღის წესრიგში მთავრობის ნდობის საკითხი დააყენა. პრემიერობის მოვალეობის შემსრულებელმა, მისი პრემიერად წარდგენის გარეშე, შემოგვთავაზა მთავრობის შემადგენლობა. პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა ღარიბაშვილის წარდგენილ სიას, ერთი კვირის ვადა მისცა. როგორ შეაფასებთ იმ ვითარებას, რაც დღეს შეიქმნა ქვეყანაში? რა ბალანსი დაირღვა და რა კონფიგურაცია შეიქმნა მთავრობის იმ ვარიანტით, რაც ღარიბაშვილმა წარმოადგინა?***

— ჩვენი ხელისუფლებები ყოველთვის შედეგებს ებრძოდნენ და არა — მიზეზებს. კონსტიტუციაც ამის ნათელი მაგალითია. იმის მაგივრად, რომ მოეხდინათ პერმანენტული კონსტიტუციური გადატრიალებებისა და კონსტიტუციაზე ძალადობის შედეგების ლიკვიდაცია, ხდებოდა გარკვეულ რეჟიმზე, არსებულ ვითარებაზე, მთავრობასა და ხელისუფლების შენარჩუნებაზე კონსტიტუციის მორგება. სამწუხაროდ, მართვის ამ ფორმას ხელისუფლებამ თავი ვერ დააღწია. ახლაც პროცესები ამ რეჟიმში მიმდინარეობს.

***— დღეისთვის კონსტიტუციური გადატრიალების რა ნიშანს ხედავთ?***

— პრეზიდენტი მარგველაშვილი თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა და დააშანტაჟა ხალხი, მას თუ არ აირჩევთ, პოლიტიკიდან გავდივარო. ხალხმა მას დაუჯერა და აირჩია. დღეს მარგველაშვილი არის ყველაზე დიდი ლეგიტიმაციის მატარებელი ინსტიტუციის წარმომადგენელი.

***— ამ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა გადამდგარია.***

— დღეს, როდესაც მთავრობა გადამდგარად ითვლება, კონსტიტუციის მე-80 და 81-ე პრიმა მუხლების თანახმად, პრეზიდენტს უზარმაზარი ფუნქციები აქვს. მას სრული კარტბლანში აქვს, კონსტიტუციურად მინიჭებული, დააკომპლექტოს, ნდობა გამოუცხადოს თუ არ გამოუცხადოს და პარლამენტს წარუდგინოს თავისი მოდელი, თავისი ხედვა, მსოფლმხედველობა, თუ რომელ გუნდს შესწევს უნარი, გადაჭრას ქვეყანაში არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

***— პრეზიდენტს პრემიერობის კანდიდატად ღარიბაშვილი არ წარუდგენია, ამ დროს ღარიბაშვილი გამოვიდა და წარმოადგინა მთავრობა. ეს რას ნიშნავს?***

— შეიძლება ითქვას, რომ ღარიბაშვილმა დაასწრო მოვლენებს.

***— საპასუხოდ პრეზიდენტმა მოუწოდა, მშვიდ ვითარებაში აწარმოონ კონსულტაციები. ეს იმას ნიშნავს, პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე და მისი იგნორირებით ხდებოდა მთავრობის შემადგენლობის წარდგენა?***

— დიახ. სულ ასეა. პარლამენტი და მთავრობა სრულ იგნორირებას ახდენდა პრეზიდენტის ინსტიტუტისა და, კონკრეტულად, მარგველაშვილის პერსონის, რაც შემდგომ სახელმწიფო კრიზისში გადაიზარდა, რაც აისახა ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე.

***— ანუ ქვეყანაში არსებული კრიზისი შედეგია პრეზიდენტის ინსტიტუტის და მარგველაშვილის პერსონის იგნორირებისა?***

— დიახ. ჯერ გაუმართავი კონსტიტუციის დაკანონება იყო მიზეზი, ხოლო შემდეგ არსებული კონსტიტუციის დაუცველობა, იგნორირება და გაუთვალისწინებულობა. სინამდვილეში ელემენტარული კომპეტენციაა საჭირო, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივი ვცეთ, თუ ახლო მომავალში ძალადობა არ მოხდა კონსტიტუციაზე.

***— ახლო მომავალში კონსტიტუციაზე ძალადობა მოსალოდნელია?***

— კონსტიტუციაზე ძალადობა იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ კონსტიტუციის ველიდან გავა მთავრობა, რომელიც მოვალეობის შემსრულებლად ითვლება და მარგველაშვილისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების იგნორირებას კიდევ ერთხელ მოახდენს. პრემიერი და მთავრობა არის გადამდგარი და მოვალეობის შემსრულებელი. პრემიერი მოვალეობის შემსრულებელი შეიძლება იყოს ორი კვირის განმავლობაში. თუ ორი კვირის შემდეგაც არ მოაწერს მარგველაშვილი ხელს, უკვე მოვალეობის შემსრულებლის სტატუსიც გამოეცლება ხელიდან და მთავრობა ჰაერში იქნება გამოკიდებული, ხოლო მთელი კონსტიტუციური უფლებამოსილება გადაეცემა მარგველაშვილს. მან უნდა წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა ახალი პრემიერ მინისტრით.



***— კონსტიტუციით ამის უფლება აქვს?***

— რა თქმა უნდა, ამის უფლება პრეზიდენტს მინიჭებული აქვს მე-80 და 81-ე პრიმა მუხლებით.

***— ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი განმარტავს, რომ პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ მან პრემიერს ერთი კვირის ვადა მისცა, უფლება არ აქვს, ხელი არ მოაწეროს, ამის შემდეგ წარმოდგენილი შემადგენლობის პარლამენტისთვის წარდგენას.***

## პრეზიდენტის რეზიდენციის საკითხის წამოჭრა იყო დიდი პოლიტიკური სიბეცე. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილს ეახლებიან

— ასე არ არის. ეს არის შეთანხმების საგანი. თუ შეუთანხმებლობამდე მივიდნენ, კრიზისში შედის როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო და პრეზიდენტის ინსტიტუტი, სიტუაცია ვერ გვარდება. ამის შემდეგ პრეზიდენტი იღებს თავის თავზე და, ფაქტობრივად, ის ნიშნავს ახალ არჩევნებს. არ დაგავიწყდეთ, რომ ის არის უმაღლესი მთავარსარდალი, რაც ანგარიშგასაწევია. როდესაც სახელისუფლებო შტოებს შორის, უფლებამოსილებები დაუბალანსებელია, არსებობს დისჰარმონია და დისბალანსი, სიტუაცია უნდა განიმუხტოს ვადამდელი არჩევნებით. მთელი მექანიზმები გააჩნია ბატონ მარგველაშვილს, რომელსაც უდიერად და აგდებულად ეკიდებოდა მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება.

***— პრემიერობის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც არის კოალიციის ლიდერი, ეჭვი არ ეპარება, რომ მას მხარს დაუჭერს პარლამენტი. რატომ არ მოხდა პარლამენტის მიერ პრეზიდენტისთვის ღარიბაშვილის კანდიდატურის შეთავაზება? ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდოდათ ამ პროცესში მარგველაშვილის ჩართვა?***

## რა წერია კონსტიტუციაში და რა უფლებები აქვს პრეზიდენტს

— რა თქმა უნდა. სრული იგნორირება ხდებოდა. პარლამენტის სხდომასაც კი არ ესწრებოდნენ.

***— ხომ მოუწოდებდნენ მარგველაშვილს, სასწრაფოდ მოეწერა ხელი წარდგენილი სამთავრობო სიისთვის. პრეზიდენტი ძალაუნებურად ჩართული არ არის პროცესში?***

— ეს ხელების გადაგრეხვის პრინციპებით არ უნდა მოხდეს. თუ აღიარებ ამ კონსტიტუციას, უნდა დაემორჩილო. მე, მაგალითად, ახლანდელი კონსტიტუცია არ მომწონს.

***— თქვენ არ ხართ ხელისუფლებაში, ვინც ხელისუფლებაში და აქტიურ პოლიტიკაშია, უნდა დაემორჩილოს კონსტიტუციას.***

— დიახ, თუ ამ კონსტიტუციას ემორჩილები, მაშინ უნდა დაიცვა თამაშის ის წესები, რასაც არსებული კონსტიტუცია გთავაზობს. შეიძლება არ დაიცვან არსებული კონსტიტუცია და გამოაცხადონ საგანგებო მდგომარეობა.

***— ვის შეუძლია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, პრეზიდენტს?***

— არა, მოვალეობის შემსრულებელ აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუ ამაზე წავიდა.

***— მოვალეობის შემსრულებელ მთავრობის მეთაურს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს?***

— არ აქვს, მაგრამ შეიძლება ამაზე წავიდნენ, როდესაც ხელისუფლების შენარჩუნება თვითმიზანი ხდება.

***— ეს კონსტიტუციური გადატრიალება არ იქნება?***

— ცხადია, კონსტიტუციური სივრციდან გასვლა იქნება. ამის გასაკეთებლად რაღაც პრობლემა უნდა წამოჭრა, უნდა გამოიგონო ხელოვნურად და მოახდინო სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია და მისი როლის ნიველირება. ესეც შესაძლებელია, მაგრამ ამას სჭირდება გრანდიოზული ფიგურა და მოსახლეობის აბსოლუტური მხარდაჭერა. მსგავსი სცენარების განვითარება შესაძლებელია. ანალოგიური პროცესები განვითარდა, როცა ხალხმა გადააყენა დე გოლი.

***— პარლამენტი რატომ პასიურობს? ორი დღეა, პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი განმარტებებს აკეთებს. სანამ მარგველაშვილი ხელისმოწერაზე უარს იტყოდა, სხვა განმარტებებს აკეთებდა, მარგველაშვილის განცხადების შემდეგ განაცხადა, პრეზიდენტმა უფრო მეტი დრო მოგვცა ფიქრისთვისო. პარლამენტი თავის მოვალეობას რატომ არ ასრულებს? რით შეუძლია ახსნას პარლამენტის თავმჯდომარემ ის, რომ მან პრეზიდენტს პრემიერობის კანდიდატად ღარიბაშვილი არ შესთავაზა წარსადგენად?***

— პარლამენტის თავმჯდომარემ ამ შემთხვევაში პაუზა დაიჭირა. ფაქტობრივად, უსუფაშვილი მიესალმა და მხარი დაუჭირა მარგველაშვილის პაუზას. თვითონ პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია იმაში, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, მაგრამ ამ თემების გაშლას, ეტყობა, კონფრონტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს.

***— შეუძლებელია არ სცოდნოდა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ საჭირო იყო პრეზიდენტისთვის პრემიერობის კანდიდატის შეთავაზება, რომ შემდეგ მას წარედგინა საზოგადოებისა და პარლამენტისთვის? რატომ არ გააკეთა ეს მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრად მისი მეუღლე გვევლინება?***

— ეს პოლიტიკური თამაშია, რადგან მართვის ერთი პოლიტიკური ცენტრი არ არსებობს, რაც კარგია მყარი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. თუ ეს ხალხი გამოხატავს კონსტიტუციის, ინსტიტუტების პატივისცემას. კრიზისი განიმუხტება. დღეს უმრავლესობა არჩევნებისკენ იყურება. კოალიციაში 2-3%-იანი პარტიებია, თუმცა, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო თანამდებობები უჭირავთ. ეს პოლიტიკური კომბინაციიების შედეგია. თუმცა, ასე არ უნდა იყოს. ერთადერთი, ვინც გარანტირებულად გრძნობს თავს, არის მარგველაშვილი, რომელსაც ეს საფრთხე არ ემუქრება. ყველა დანარჩენს თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა მოუწევს.

***— პრეზიდენტის განცხადების შემდეგ დაძაბულობა გაღრმავდება თუ შენელდება?***

— ეს დამოკიდებულია თითოეული პერსონის პასუხისმგებლობის საკითხზე. დე გოლი ტყუილად არ ვახსენე. იგივე ჩერჩილი, რომელიც მეოცე საუკუნის უდიდესი ადამიანი იყო, როდესაც გარკვეული ვადა გავიდა, გადაირჩია ხალხმა. თუ ეს პერსონები კონსტიტუციურად მოიქცევიან და პასუხისმგებლობას გამოიჩენენ, პროცესებიც იმის მიხედვით წავა.

***— უმაღლესმა მთავარდალმა დასვა კითხვა, რა პერიოდში უნდა იცვლებოდეს თავდაცვის მინისტრი. ამას მოაყოლა ბალანსის დარღვევის თაობაზე განცხადება. რა დისბალანსი შეიქმნა თავდაცვის მინისტრის ცვლილებით? რატომ არ მოეწონა თავდაცვის მინისტრის შეცვლა პრეზიდენტს?***

— იმიტომ არ მოეწონა, რომ მარგველაშვილი ითხოვს ახალი შემადგენლობის წარდგენას და არა რამდენიმე პერსონის შემოყვანას, თუნდაც მისთვის პირადად მისაღები თინა ხიდაშელისას.

***— მარგველაშვილისთვის ხიდაშელი მისაღებია?***

— რა თქმა უნდა, რადგან ისინი ერთი სამყაროს წარმომადგენლები არიან პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მან განუცხადა მთავრობას, რომ აღნიშნული ცვლილება კოსმეტიკური ცვლილების ტოლფასია, მე უნდა წარვადგინო მთლიანად ახალი პრემიერ მინისტრი, მთლიანად ახალი შემადგენლობით და არა — თუნდაც ჩემთვის მისაღები კანდიდატურით იმ შემადგენლობაში, რომელიც თქვენ გყავთ წარმოდგენილიო.

***— თვითონ მარგველაშვილმა უნდა წარადგინოს?***

— დიახ, მარგველაშვილმა უნდა წარადგინოს მთლიანად განახლებული მთავრობის ვარიანტი.

***— მისი განცხადებიდან თუ ვიმსჯელებთ, ის ამის საჭიროებას ხედავს?***

— დიახ. ამაზე მარგველაშვილს დიდი კარტბლანში აქვს მიღებული. ამით მარგველაშვილის უფლებამოსილება, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცულობა და მისი, როგორც პოლიტიკოსის პოლიტიკური წონა, სტატუსი და რანგი კიდევ უფრო გაიზრდება.

***— მთავრობაში ორი რესპუბლიკელის გადანაცვლებით რა ვითარება შეიქმნა კოალიციის პოლიტიკურ მმართველობაში?***

— მარგველაშვილისთვის სია დაბალანსებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ აბსოლუტურად განახლებული მთავრობის შემადგენლობა წარედგინება. თინა ხიდაშელი წარდგენილ მთავრობაში ფრაგმენტი კი არ უნდა იყოს, არამედ პრეზიდენტი ყველაფერს განიხილავს მთლიანობაში, ყველა კანდიდატი მის მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს შეთავსებული. პრეზიდენტს დიდი კონსტიტუციური უფლებამოსილებები გააჩნია, ტყუილად უყურებდნენ ცინიკურად და ამკობდნენ დამამცირებელი ფრაზებით პრეზიდენტის ინსტიტუტს და მარგველაშვილს.

***— თუ მთავრობა ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში იყო, ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის სასახლის საკითხის წამოჭრა რას ნიშნავდა?***

— ეს იყო დიდი პოლიტიკური სიბეცე. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილს ეახლებიან.

***— შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ მარგველაშვილს ეახლონ?***

— აუცილებლად. თუ არ შექმნეს საგანგებო ვითარება და კონსტიტუციაზე თუ არ იძალადა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, მათ მოუწევთ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა მარგველაშვილთან.

# შსს-ში ერთი წლის საქმიანობა შეაჯამეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის თავზე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის რიგით მეთორმეტე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც კომისიის ერთი წლის მუშაობის შედეგები შეაჯამდა. შეხვედრას ესწრებოდნენ შსს-ს, ფინანსთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ კანონმა სამართლებრივ რეგულირებას დაუქვემდებარა ე.წ. „ბიოები“ და „სპაისები“, რაც მანამდე უკონტროლოდ შემოედინებოდა საქართველოში და ქვეყნისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. შსს-ს ავტორობით შემუშავებული კანონი ეყრდნობა ოთხი ევროპული ქვეყნის გამოცდილებას. ახალი კანონი ეფექტური აღმოჩნდა რამდენიმე მიმართულებით. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შეინიშნება ბიონარკოტიკის მოხმარების კლების შთამბეჭდავი, კერძოდ, 90%-იანი კლება. ასევე, არ ფიქსირდება აღნიშნული ნარკოტიკით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები და მინიმუმამდეა დაყვანილი ბიონარკოტიკით გამოწვეული ჩივილებით სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობა. აგრეთვე, კანონის საფუძველზე შექმნილია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია, რომელიც ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს ბიონარკოტიკებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და რეაგირებს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე, უზრუნველყოფს კანონის ეფექტურ აღსრულებას.

ერთი წლის განმავლობაში კომისიის 12 შეხვედრა ჩატარდა. ამასთან, კანონის საფუძველზე და კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, შსს-ს ოფიციალურ საიტზე (პოლიცე.გე) განთავსებული ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე ცალკე გრაფა ეთმობა კომისიის საქმიანობას, მათ შორის, ყოველკვარტალურად ქვეყნდება კომისიის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. სახელმწიფო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ მიმართული კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივები და მათ აღსასრულებლად განხორციელებული ღონისძიებები, საზედამხედველო მექანიზმის არსებობა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საქმიანობა, პრევენციული ღონისძიებები და ანტინარკოტიკული კამპანია: „არა ბიონარკოტიკს — ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. კომისიის შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოლიტიკის ყველა სეგმენტმა ეფექტურად იმუშავა და ერთობლიობაში უზრუნველყო დადებით შედეგების მიღწევა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგრძნობია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ევროპა ჩვეულებრივი მატჩებით უქმობს



ამ უქმეებზე ევროპაში ბევრი საინტერესო მატჩია. თუმცა, კონკრეტულად რომ გამოვარჩიოთ, ასეთი სევილია-რეალი არის. ორივე გუნდს ძალიან სჭირდება ქულები.

## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05 ლესტერი-ნიუკასლი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 02.05 ვესტ ჰემი-ბარნლი | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 02.05 ასტონ ვილა-ევერტონი | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 02.05 სუონსი-სტოკი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 02.05 ლივერპული-ქპრ | 1.33 | 5.0 | 8.5 |
| 02.05 სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 4.2 | 3.1 | 2.0 |
| 02.05 მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.36 | 4.5 | 10.0 |
| 03.05 ჩელსი-კრ.პალასი | 1.36 | 4.5 | 10.0 |
| 03.05 ტოტენჰემი-სიტი | 3.8 | 3.6 | 1.91 |
| 04.05 ჰალი-არსენალი | 5.0 | 3.8 | 1.67 |

### ლესტერი-ნიუკასლი

ლესტერი: ***ტრავმ***-ენდი კინგი, რობერტ ჰანტი, ჯეფრი შლუპი, დევიდ ნაგენტი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი, რობორტ ელიოტი, როლანდო აარონსი, სტივენ ტეილორი; ***დისკვ***-პაპრის სისე

### ვესტ ჰემი-ბარნლი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი, გაი დემელი, დიაფრა სახო, ენდი კეროლი

ბარნლი: ***ტრავმ***-სემ ვოკესი, კევინ ლონგი

### ასტონ ვილა-ევერტონი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ნათან ბაკერი, კირონ კლარკი, გაბრიელ აგბონლაჰორი

ევერტონი: ***ტრავმ***-ბრაიან ოვიედო

### სუონსი-სტოკი

სუონსი: ***ტრავმ***-უიენ როტლეჯი, ბაფეტიმბი გომისი, ტომას კეროლი

სტოკი: ***ტრავმ***-ბოიან კრკიჩი

### ლივერპული-ქპრ

ლივერპული: ***ტრავმ***-მარიო ბალოტელი, ლუკასი, დანიელ სტარიჯი, მამადუ სახო

ქპრ: ***ტრავმ***-არმანდ ტრაორე, ედუარდო ვარგასი, ალეხანდრო ფორლინი

### სანდერლენდი-საუთჰემპტონი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-სტივენ ფლეტჩერი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-დუშან ტადიჩი, ფრეიზერ ფოსტერი

### მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-უეინ რუნი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბენ ფოსტერი

### ჩელსი-კრ.პალასი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯერომ ტომასი, მარუან შამახი

### ტოტენჰემი-სიტი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-

სიტი: ***ტრავმ***-იაია ტურე, სამირ ნასრი, გაელ კლიში, ტივენ იოვეტიჩი, ვინსენტ კომპანი

### ჰალი-არსენალი

ჰალი: ***ტრავმ***-მოჰამედ დიამე, ენდრიუ რობერტსონი, კურტის დევისი, ნიკიცა იელავიჩი

არსენალი: ***ტრავმ***-მეტიუ დებუში, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 34 | 24 | 8 | 2 | 68-27 | 80 |
| 2.სიტი | 34 | 20 | 7 | 7 | 70-36 | 67 |
| 3.არსენალი | 33 | 20 | 7 | 6 | 63-32 | 67 |
| 4.მანჩესტერი | 34 | 19 | 8 | 7 | 59-34 | 65 |
| 5.ლივერპული | 34 | 17 | 7 | 10 | 47-37 | 58 |
| 6.ტოტენჰემი | 34 | 17 | 7 | 10 | 55-49 | 58 |
| 7.საუთჰემპტონი | 34 | 17 | 6 | 11 | 47-26 | 57 |
| 8.სუონსი | 34 | 14 | 8 | 12 | 41-44 | 50 |
| 9.სტოკი | 34 | 13 | 8 | 13 | 39-42 | 47 |
| 10.ევერტონი | 34 | 11 | 11 | 12 | 44-43 | 44 |
| 11.ვესტ ჰემი | 34 | 11 | 11 | 12 | 42-42 | 44 |
| 12.კრ. პალასი | 34 | 11 | 9 | 14 | 42-47 | 42 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 9 | 10 | 15 | 32-46 | 37 |
| 14.ნიუკასლი | 34 | 9 | 8 | 17 | 36-57 | 35 |
| 15.ჰალი | 34 | 8 | 10 | 16 | 32-45 | 34 |
| 16.ასტონ ვილა | 34 | 8 | 8 | 18 | 26-48 | 32 |
| 17.ლესტერი | 34 | 8 | 7 | 19 | 36-54 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 5 | 15 | 13 | 26-49 | 30 |
| 19.ქპრ | 34 | 7 | 6 | 21 | 38-59 | 27 |
| 20.ბარნლი | 34 | 5 | 11 | 18 | 26-52 | 26 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05 კორდობა-ბარსელონა | 23.0 | 9.0 | 1.1 |
| 02.05 ატლეტიკო– ბილბაო | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 02.05 სევილია-რეალი | 3.5 | 3.5 | 2.05 |
| 02.05 დეპორტივო-ვილიარეალი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 03.05 ესპანიოლი-რაიო | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 03.05 ხეტაფე-გრანადა | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 03.05 ვალენსია-ეიბარი | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 03.05 მალაგა-ელჩე | 1.6 | 3.8 | 6.0 |
| 04.05 ალმერია-სელტა | 3.6 | 3.4 | 2.05 |

### კორდობა-ბარსელონა

კორდობა: ***ტრავმ***-იაგო ბუზონი

ბარსელონა: ***ტრავმ***-არავინ

### ატლეტიკო_ ბილბაო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, იკერ მუნიანი

### სევილია-რეალი

სევილია: ***ტრავმ***-ნიკოლას პარეხა, მარიანო ბარბოსა

რეალი: ***ტრავმ***-ლუკა მოდრიჩი, ქარიმ ბენზემა, ალვარო მედრანი

### დეპორტივო-ვილიარეალი

დეპორტივო: ***ტრავმ***-სესარ ვილკი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სერხიო ასენხოუჩე იკეჩუკვუ, ჯოვანი დოს სანტოსი, დენის ჩერიშევი, მატეო მუსაჩიო, ბრუნო სორიანო, ადრიან მარინი

### ესპანიოლი-რაიო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მატიონი

რაიო: ***ტრავმ***-ანტონიო ამაია, კრისტიან ალვარესი, ლეო ბაპტისტაო

### ხეტაფე-გრანადა

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო ვასკესი, ქარიმ იოდა, ხუან ვალერა, ანგელ ლაფიტა

გრანადა: ***ტრავმ***-ჯეისონ მურილიო, ედი სილვესტრი, სულეიმან მარე

### ვალენსია-ეიბარი

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი: ***ტრავმ***-ხაიმე ხიმენესი

### მალაგა-ელჩე

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ

ელჩე: ***ტრავმ***-ხოსე ანგელი

### ალმერია-სელტა

ალმერია: ***ტრავმ***-ფერნანდო სორიანო, მიჩელი, ფრან ველეჟი

სელტა: ***ტრავმ***-ნემანია რადოია, კარლეს პლანასი, ბორხა ობინა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 27 | 3 | 4 | 97-19 | 84 |
| 2.რეალი | 34 | 27 | 1 | 6 | 102-30 | 82 |
| 3.ატლეტიკო | 34 | 23 | 6 | 5 | 65-26 | 75 |
| 4.სევილია | 34 | 21 | 6 | 7 | 63-38 | 69 |
| 5.ვალენსია | 33 | 20 | 8 | 5 | 60-25 | 68 |
| 6.ვილიარეალი | 34 | 14 | 11 | 9 | 44-31 | 53 |
| 7.მალაგა | 34 | 13 | 8 | 13 | 36-40 | 47 |
| 8.ბილბაო | 34 | 13 | 8 | 13 | 34-38 | 47 |
| 9.სელტა | 34 | 12 | 9 | 13 | 40-38 | 45 |
| 10.ესპანიოლი | 33 | 11 | 9 | 13 | 39-42 | 42 |
| 11.რაიო | 33 | 13 | 2 | 18 | 38-61 | 41 |
| 12.სოსიედადი | 34 | 9 | 13 | 12 | 37-44 | 40 |
| 13.ელჩე | 34 | 10 | 7 | 17 | 31-57 | 37 |
| 14.ხეტაფე | 34 | 10 | 6 | 18 | 28-52 | 36 |
| 15.ლევანტე | 34 | 9 | 8 | 17 | 32-60 | 35 |
| 16.ეიბარი | 34 | 8 | 7 | 19 | 29-49 | 31 |
| 17.ალმერია | 34 | 8 | 7 | 19 | 29-55 | 31 |
| 18.დეპორტივო | 34 | 6 | 11 | 17 | 29-56 | 29 |
| 19.გრანადა | 33 | 4 | 13 | 16 | 21-61 | 25 |
| 20.კორდობა | 34 | 3 | 11 | 20 | 21-53 | 20 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05 აუგსბურგი-კიოლნი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 02.05 ვერდერი-აინტრახტი | 2.15 | 3.75 | 3.0 |
| 02.05 ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი | 3.8 | 4.0 | 1.83 |
| 02.05 ფრაიბურგი-პადერბორნი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 02.05 ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.44 | 4.75 | 6.5 |
| 02.05 შალკე-შტუტგარტი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 02.05 ლევერკუზენი-ბაიერნი | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 03.05 მაინცი-ჰამბურგი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 03.05 ჰერტა-გლადბახი | 4.75 | 3.4 | 1.8 |

### აუგსბურგი-კიოლნი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-შონ პარკერი, კაიბი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

კიოლნი: ***ტრავმ***-პაველ ოლკოვსკი, დეივერსონი

### ვერდერი-აინტრახტი

ვერდერი: ***ტრავმ***-ალეხანდრო კალვესი, ფელიქს კროოსი, ლუკა კალდიროლა, ოზკან ილდრიმი, იანიკ ვესტერგაარდი, ფინ ბარტელსი, მელვინ ლორენცენი

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ კინსომბი, ალექსანდერ მეიერი; ***დისკვ***-ალექსანდერ მადლუნგი

### ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ნიკლას სულე; ***დისკვ***-ტობიას სტრობლი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-კევინ გროსკროიცი, ოლივერ კირხი, ნური შაჰინი, ლუკაშ პიშჩეკი

### ფრაიბურგი-პადერბორნი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მატს დაელი

პადერბორნი: ***ტრავმ***-ფლორიან ჰარტჰერცი, ალბან მეა, მარვინ დუკში, ტობიას ბარტელსი; ***დისკვ***-მარიო ვრანჩიჩი, მიჰაელ ჰეინჰოლტი

### ვოლფსბურგი-ჰანოვერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-აარონ ჰანტი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-კრისტიან პანდერი, მარიუს სტანკევიჩუსი, არტურ სობიეხი; ***დისკვ***-ლარს სტინდი

### შალკე-შტუტგარტი

შალკე: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, ატსუტო უჩიდა, სიდნეი სამი, კაან აიანი, ფაბიან გიფერი, ჩინედუ ობასი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ჯერომ კისვეტერი, კარლოს კრუეზო, კონსტანტინ რაუხი, სერხან სარარერი; ***დისკვ***-ადამ ჰლუშეკი

### ლევერკუზენი-ბაიერნი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კირიაკოს პაპადოპულოსი, ვლადლენ იურჩენკო, გონსალო კასტრო, რობი კრუსე

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, რობერტ ლევანდოვსკი, ჰოლგერ ბადშტურბერი, დავიდ ალაბა, ფრანკ რიბერი

### მაინცი-ჰამბურგი

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკოლას კასტილიო, იონას ჰოფმანი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-კლებერი, ნიკოლას მიულერი, ჯულიან გრინი

### ჰერტა-გლადბახი

ჰერტა: ***ტრავმ***-როი ბეერენსი, თოლგა, ჯულიან შიბერი

გლადბახი: ***ტრავმ***-მარტინ შტრანცლი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 24 | 4 | 2 | 77-13 | 76 |
| 2.ვოლფსბურგი | 30 | 18 | 7 | 5 | 63-32 | 61 |
| 3.გლადბახი | 30 | 16 | 9 | 5 | 45-22 | 57 |
| 4.ლევერკუზენი | 30 | 15 | 10 | 5 | 57-32 | 55 |
| 5.შალკე | 30 | 11 | 9 | 10 | 38-34 | 42 |
| 6.აუგსბურგი | 30 | 13 | 3 | 14 | 38-40 | 42 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 30 | 11 | 7 | 12 | 45-48 | 40 |
| 8.დორტმუნდი | 30 | 11 | 6 | 13 | 40-37 | 39 |
| 9.ვერდერი | 30 | 10 | 9 | 11 | 46-59 | 39 |
| 10.მაინცი | 30 | 8 | 13 | 9 | 42-41 | 37 |
| 11.აინტრახტი | 30 | 9 | 9 | 12 | 51-59 | 36 |
| 12.კიოლნი | 30 | 8 | 11 | 11 | 30-36 | 35 |
| 13.ჰერტა | 30 | 9 | 7 | 14 | 34-46 | 34 |
| 14.ფრაიბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 31-41 | 30 |
| 15.ჰანოვერი | 30 | 7 | 8 | 15 | 33-51 | 29 |
| 16.ჰამბურგი | 30 | 7 | 7 | 16 | 19-46 | 28 |
| 17.პადერბორნი | 30 | 6 | 10 | 14 | 27-58 | 28 |
| 18.შტუტგარტი | 30 | 6 | 9 | 15 | 34-55 | 27 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05 სამპდორია-იუვენტუსი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 02.05 სასუოლო-პალერმო | 2.62 | 3.3 | 2.62 |
| 03.05 რომა-ჯენოა | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 03.05 ატალანტა-ლაციო | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 03.05 ფიორენტინა-ჩეზენა | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 03.05 ინტერი-კიევო | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 03.05 ვერონა-უდინეზე | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 03.05 ნაპოლი-მილანი | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 04.05 კალიარი-პარმა | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 05.05 ტორინო-ემპოლი | 1.73 | 3.5 | 5.0 |

### სამპდორია-იუვენტუსი

სამპდორია: ***ტრავმ***-ხოაკინ კორეა, ციტადინ ედერი, ალესანდრო დე ვიტისი, ფაბრიციო კაჩიატორე; ***დისკვ***-აფრი ასქუა

იუვენტუსი: ***ტრავმ***-პოლ პოგბა, მარტინ კასერესი, კვადვო ასამოა; ***დისკვ***-პატრის ევრა

### სასუოლო-პალერმო

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმე ვრალიჩკო, ფრანჩესკო მანანელი, მარსელო გალოზა, ლუკა ანტეი, ემანუელე ტერანოვა; ***დისკვ***-პაოლო კანავარო

პალერმო: ***ტრავმ***-სიმონ მაკინოკი, ემერსონი, მიჩელ მორგანელა

### რომა-ჯენოა

რომა: ***ტრავმ***-მაიკონი, კევინ სტროოტმანი, ლეანდრო კასტანი

ჯენოა: ***ტრავმ***-დიეგო პეროტი, ლორენცო არიაუდო, ლუკა ანტონელი

### ატალანტა-ლაციო

ატალანტა: ***ტრავმ***-ლუკა გიგარინი, კრისტიან რაიმონდი; ***დისკვ***-იოან ბელანოლი, გერმან დენისი

ლაციო: ***ტრავმ***-ლორიკ კანა, ბრუნო პერეირინია, ლუკას ბილია, სტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-მიროსლავ კლოზე

### ფიორენტინა-ჩეზენა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხოუმა ბაბაქარი

ჩეზენა: ***ტრავმ***-ნიკო პულზეტი, ჰორდურ მაგნუსონი, გვიდო მარილუნგო

### ინტერი-კიევო

ინტერი: ***ტრავმ***-ჰუგო კამპანარო, დოდო, ჯონათან მორეირა

კიევო: ***ტრავმ***-ერვინ ზუკანოვიჩი, ფედერიკო მატიელო

### ვერონა-უდინეზე

ვერონა: ***ტრავმ***-პიერლუიჯი კოლინიხუანიტო, რაფაელი, ემილ ჰალიფრედსონი, არტურ იონიტა; ***დისკვ***-მატია ვალოტი, გილერმო როდრიგესი

უდინეზე: ***ტრავმ***-მოლა ვოგი, ტომას ჰოტრო, ლუკას ევანგელისტა; ***დისკვ***-მაურისიო დომიცი, ემანუელ ბადუ

### ნაპოლი-მილანი

ნაპოლი: ***ტრავმ***-მიჩუ

მილანი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-იგნასიო აბატე, ჯერემი მენეზი, ფილიპ მექსე

### კალიარი-პარმა

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ანდრეა კოსუ, ნიკოლა მურუ

პარმა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-იშაკ ბელფოლდი, ანტონიო მირანტე

### ტორინო-ემპოლი

ტორინო: ***ტრავმ***-ჯუზეპე ვივესი

ემპოლი: ***ტრავმ***-რიკარდო საპორანა, ვინსენტ ლორინი, ლორენცო ტონელი, ტიბერიო გუარენტე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 23 | 7 | 3 | 63-19 | 76 |
| 2.ლაციო | 33 | 19 | 5 | 9 | 63-31 | 62 |
| 3.რომა | 33 | 16 | 13 | 4 | 46-25 | 61 |
| 4.ნაპოლი | 34 | 16 | 8 | 9 | 59-43 | 56 |
| 5.სამპდორია | 33 | 12 | 15 | 6 | 41-36 | 51 |
| 6.ჯენოა | 33 | 13 | 11 | 9 | 49-38 | 50 |
| 7.ფიორენტინა | 33 | 13 | 10 | 10 | 46-41 | 49 |
| 8.ტორინო | 33 | 12 | 12 | 9 | 40-36 | 48 |
| 9.ინტერი | 33 | 12 | 12 | 9 | 50-39 | 48 |
| 10.მილანი | 33 | 10 | 13 | 10 | 46-42 | 43 |
| 11.პალერმო | 33 | 10 | 12 | 11 | 46-48 | 42 |
| 12.კიევო | 33 | 10 | 10 | 13 | 25-33 | 40 |
| 13.ვერონა | 33 | 10 | 10 | 13 | 41-57 | 40 |
| 14.უდინეზე | 33 | 9 | 11 | 13 | 37-45 | 38 |
| 15.ემპოლი | 33 | 7 | 17 | 9 | 38-42 | 38 |
| 16.სასუოლო | 33 | 8 | 12 | 13 | 39-52 | 36 |
| 17.ატალანტა | 33 | 6 | 14 | 13 | 31-46 | 32 |
| 18.კალიარი | 33 | 5 | 9 | 19 | 38-63 | 24 |
| 19.ჩეზენა | 33 | 4 | 12 | 17 | 31-58 | 24 |
| 20.პარმა | 33 | 6 | 5 | 22 | 27-62 | 16 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.05 ლიონი-ევიანი | 1.28 | 5.5 | 11.0 |
| 02.05 ლორიანი-ბორდო | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 02.05 მონპელიე-რენი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 02.05 გენგამი-რეიმსი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 02.05 ბასტია-სტ.ეტიენი | 3.5 | 3.1 | 2.2 |
| 02.05 ნიცა-კაენი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 03.05 ლილი-ლანსი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 03.05 მონაკო-ტულუზა | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 03.05 ნანტი-პსჟ | 10.0 | 4.4 | 1.36 |

### ლიონი-ევიანი

ლიონი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, მილან ბიშევაჩი

ევიანი: ***ტრავმ***-კასიმ აბდალა, ფაბიენ გამო, იესპერ ჰანსენი, დავიდ რამირესი

### ლორიანი-ბორდო

ლორიანი: ***ტრავმ***-ბენჯამინ იანო, სადიო დიალო, ვესლი ლაუტოა, რაფაელ გერერო, ვალენტინ ლავინე, ფაბიენ რობერი

ბორდო: ***ტრავმ***-ისააკ კის ტელინი, ტომას ტურე, მაქსიმ პაუნდი, მარკ პლანუსი, იუნის კააბუნი, ჩეიკ დიაბატე

### მონპელიე-რენი

მონპელიე: ***ტრავმ***-სიაკა ტიენი, მორგან სანსონი, ანტოლინ რიბელინი

რენი: ***ტრავმ***-ემირ ლენიანი, ვინსენტ პაიო, ფილიპ ჰოსინერი

### გენგამი-რეიმსი

გენგამი: ***ტრავმ***-მარკუს კოკო, ლარს იაკობსენი, ბისამა სანკო, რონი შვარცი, დოარიან ლევე

რეიმსი: ***ტრავმ***-ანტუან ვებერი, კრის მავინგა, ფრანკ სინორინო, საშა ბასტიენი

### ბასტია-სტ.ეტიენი

ბასტია: ***ტრავმ***-ჯოვანი სიო, იანიკ კაუზაკი, სებასტიან სკილაჩი, აბდულაიე კეიტა, ფლორიან მარანგე. ჯიბრილ სისე, ჯუნიორ ტალო

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, ფლორენტინ პოგბა

### ნიცა-კაენი

ნიცა: ***ტრავმ***-საიდ ბენრამა

კაენი: ***ტრავმ***-ჟულიენ ფერე, ფელიპე საადი; ***დისკვ***-ერვე ბაზილე

### ლილი-ლანსი

ლილი: ***ტრავმ***-ფრანკ ბერია, მაიკლ ფრე, მარვინ მარტინი

ლანსი: ***ტრავმ***-დიმიტრი კავარე, ლუდოვიკ ბაალი, დემე ნდიაე

### მონაკო-ტულუზა

მონაკო: ***ტრავმ***-ჯერემი ტულალანი, ალან ტრაორე, ტიემუ ბაკაიოკო

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია, ალექსანდერ პესიჩი, ეტიენ დიდო

### ნანტი-პსჟ

ნანტი: ***ტრავმ***-კიან ჰანსენი

პსჟ: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 20 | 11 | 3 | 70-33 | 71 |
| 2.ლიონი | 34 | 20 | 8 | 6 | 68-29 | 68 |
| 3.მონაკო | 34 | 17 | 11 | 6 | 43-23 | 62 |
| 4.სტ. ეტიენი | 34 | 16 | 12 | 6 | 42-27 | 60 |
| 5.მარსელი | 34 | 17 | 6 | 11 | 65-41 | 57 |
| 6.ბორდო | 34 | 15 | 10 | 9 | 42-41 | 55 |
| 7.მონპელიე | 34 | 15 | 7 | 12 | 43-35 | 52 |
| 8.ლილი | 34 | 14 | 8 | 12 | 34-33 | 50 |
| 9.რენი | 34 | 13 | 10 | 11 | 35-39 | 49 |
| 10.ნანტი | 34 | 11 | 11 | 12 | 27-34 | 44 |
| 11.გენგამი | 34 | 13 | 4 | 17 | 36-46 | 43 |
| 12.ნიცა | 34 | 11 | 8 | 15 | 38-44 | 41 |
| 13.ბასტია | 34 | 10 | 10 | 14 | 34-42 | 40 |
| 14.ტულუზა | 34 | 11 | 6 | 17 | 36-53 | 39 |
| 15.კაენი | 34 | 10 | 8 | 16 | 46-51 | 38 |
| 16.ლორიანი | 34 | 11 | 5 | 18 | 39-48 | 38 |
| 17.რეიმსი | 34 | 10 | 8 | 16 | 41-59 | 38 |
| 18.ევიანი | 34 | 11 | 4 | 19 | 36-52 | 37 |
| 19.მეცი | 34 | 7 | 9 | 18 | 30-49 | 30 |
| 20.ლანსი | 34 | 6 | 8 | 20 | 29-55 | 26 |

# ფაჩულიამ ნბა-ს 12-წლიანი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი დაასრულა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფაჩულიამ 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. სეზონის უკანასკნელ მატჩში ზაზას 8 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 1 პასი ჰქონდა. მიუხედავად პლეი ოფის სერიის ბოლო მატჩში განადგურებისა, ფაჩულიამ და მისმა „მილუოკიმ“ სეზონი ღირსეულად დაასრულეს. ფაჩულიას გუნდმა წინა, 2013-14 წლების სეზონი ბოლო ადგილზე, ნბა-ს 30 გუნდში ყველაზე უარესი შედეგით დაასრულა, ხოლო მომდევნო, მილუოკელთათვის აწ უკვე დასრულებულ სეზონში გუნდმა პლეი ოფში გასვლა მოახერხა. ასეთი „ნახტომი“ თავისებური რეკორდია, რომელიც ბოლოს, 2008 წელს „მაიამიმ“ მოახერხა, როცა ჩაფლავებული წინა სეზონის შემდეგ პლეი ოფში გავიდა.

დიდი მადლობა ზაზა ფაჩულიას იმ სიხარულისთვის, რომელსაც ის მთელი სეზონის განმავლობაში არ აკლებდა ქართული კალათბურთისა და მის პირად ქომაგებს. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ ზაზამ 20 მარტს „ბრუკლინთან“ 3-ოვერტაიმიან მატჩში მეტოქის ფარზე 18 ბურთი (ჯამში 21) მოხსნა და ამით ნბა-ს ისტორიაში შევიდა და ისეთი ტიტანების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი, როგორებიც მოუზეს მელოუნი და დენის როდმანი არიან.

პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ფაჩულია ერთ-ერთი სამაგალითო და თავდადებული მოთამაშეა. ზაზამ 2014-15 წლების რეგულარულ ჩემპიონატში 73 მატჩი ითამაშა, საიდანაც 45-ში სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და მატჩში საშუალოდ 8.3 ქულას, 6.8 მოხსნას, 2.3 პასს და 1.1 ჩაჭრას აგროვებდა. ეს კარგი მაჩვენებლებია, თუმცა ისინი სრულად ვერ ასახავენ იმ დიდ როლს, რომელსაც ფაჩულია „მილუოკიში“ ასრულებდა. ზაზა გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი გახლდათ და გუნდის წარმატებასაც დიდად განაპირობებდა.

კიდევ უფრო დიდი როლი ფაჩულიას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში აკისრია — გუნდის კაპიტანი და უპირობო ლიდერია. ის ნაკრებში ნბა-ში ჩატარებული უძლიერესი სეზონით და უდიდესი მოტივაციით მოდის. ფაჩულია ნაკრებს ევროპის 2015 წლის ჩემპიონატზე უკაპიტნებს, რომელიც 5 სექტემბერს ხორვატიაში დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პუტინი დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას დათანხმდა?

## ნატოს გენერალი კი ირწმუნება, რომ რუსები შეტევისათვის ემზადებიან

1 მაისს პოროშენკოს, პუტინის, მერკელისა და ოლანდის სატელეფონო საუბარი შედგა. მთავარი თემა დონბასში შექმნილი ვითარება იყო:

— პუტინმა განაცხადა, რომ დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებაზე თანახმაა,— იტყობინება პოროშენკოს პრესსამსახური.

### როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები

უკრაინულმა მედიამ პოროშენკო-პუტინ-მერკელ-ოლანდის მოლაპარაკებები ფართოდ გააშუქა. 112 არხის ცნობით, ყურადღების ცენტრში სოფელ შიროკინოსთან და დონეცკის აეროპორტის მახლობლად შექმნილი მდგომარეობა იყო.

— მხარეები შეთანხმდნენ, რომ შიროკინოს დემილიტარიზაცია აუცილებელია, — იტყობინება 112-ე არხი.

სოფელი შიროკინო მარიუპოლიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, რის გამოც მას სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. სეპარატისტების მიერ შიროკინოს აღების შემთხვევაში მარიუპოლი დარტყმის ქვეშ ხვდება. თუკი შიროკინო დაეცა, მარიუპოლის „კოტიოლში“ მოქცევის საფრთხე იზრდება. 112-ე არხის ცნობით, მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ უკრაინული საჯარისო ფორმირებები შიროკინოს დატოვებენ, ხოლო მათ ნაცვლად აქ ეუთოს მისია და უკრაინული მილიცია ჩადგება. შეწყდება ცეცხლი, რაც დემილიტარიზაციის უმთავრესი პირობაა.

— პრეზიდენტმა პოროშენკომ დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო მისიის ჩაყენების საკითხი კვლავ წამოჭრა,— იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

ეს პოროშენკოს პრესსამსახურმაც დაადასტურა. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ პუტინი თანახმაა, დონასში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტი ჩადგეს.

### აქცია მარიუპოლში

შიროკინოდან უკრაინული საჯარისო ფორმირებების გაყვანის საფრთხემ მთელი მარიუპოლი ფეხზე დააყენა. მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. ქალაქის ცენტრში გაიმართა მიტინგი, რომელშიც 50 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

— მოვითხოვთ, უკრაინელი ჯარისკაცები შიროკინოში დატოვონ!— ასეთი იყო მიტინგის მოთხოვნა.

შიროკინოს დემილიტარიზაციის იდეა მკაცრად გააკრიტიკა ორგანიზაცია „სამოპომოშჩის“ ლიდერმა, ბატალიონ „დონბასის“ მეთაურმა და უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა სემიონ სემენჩენკომ. აღსანიშნავია, რომ „სამოპომოშჩი“ მმართველი კოალიციის წევრია. 112-ე არხისათვის მიცემულ ინტერვიუში სემენჩენკომ თქვა, რომ დღევანდელ ვითარებაში შიროკინოს დემილიტარიზაციას დამღუპველი შედეგები მოჰყვება.

— რუსეთი შეთანხმებას აუცილებლად დაარღვევს და შიროკინოს ოკუპაციას განახორციელებს. მილიცია, რომელსაც ამ სოფელში ჩააყენებენ, მას ვერ დაიცავს,— თქვა სემენჩენკომ.

შიროკინოს დაცემის შემდეგ კი მარიუპოლი დარტყმის ქვეშ მოექცევა. რუსები შეეცდებიან აქ მორიგი „კოტიოლი“ მოაწყონ. სემენჩენკო ამ საშიშროების თაობაზე ხელისუფლებას ოფიციალურად აფრთხილებს.

### მდგომარეობა დონბასში

თავად დონბასში რუსი ჯარისკაცებისა და სეპარატისტების მკვეთრი გააქტიურება შეინიშნება. შექმნილია სეპარატისტების ე.წ. გაერთიანებული სარდლობა, რომელსაც მოსკოვიდან ხელმძღვანელობენ. დონბასში შემოსული ფსბ-ს ნაწილები უმართავი ნაწილების მეთაურთა ლიკვიდაციას ახორციელებენ. ამ ხერხებით იქმნება ე.წ. ერთიანი ლაშქარი, რომლის ოდენობამაც უკვე 30 000-ს მიაღწია. რუსეთიდან ინტენსიურად შემოედინება სამხედრო ტექნიკა, შემოჰყავთ ბოევიკები, ინსტრუქტორები.






— დადგა დრო, რათა დონბასში შექმნილი ვითარების მიმართ პოზიცია შევიცვალოთ, სეპარატისტები და რუსეთი, როგორც ერთი მთლიანი, ისე განვიხილოთ,— ასეთია თეთრი სახლის პოზიცია.

მინსკის შეთანხმებების მიუხედავად, სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები ჯიუტად ცდილობენ, მათ კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორია გააფართოვონ. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არ სრულდება. ყველაზე დაძაბული ვითარება შექმნილია დონეცკის აეროპორტთან, პესკისთან, შიროკინოსთან. 1 მაისს სეპარატისტებმა რუს ჯარისკაცებთან ერთად პესკიზე მორიგი შეტევა განახორციელეს. მძაფრი ცეცხლის ქვეშ მოყვა სოფელი ოპიტნოე, რომელიც იქვე მახლობლად მდებარეობს.

— ჩვენმა ჯარისკაცებმა იერიში ამჯერადაც მოიგერიეს,— იტყობინება უნიანი.

### პროვოკაციები არ წყდება

მედესანტეების მიერ მემარჯვენე სექტორის ბაზის ალყაში მოქცევის მცდელობამ (დნეპროპეტროვსკის მახლობლად) უკრაინელთა მასობრივი აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მოეწყო პიკეტი. ამის შემდეგ ინციდენტი თითქოს განიმუხტა, მეტიც, პრეზიდენტმა პოროშენკომ მემარჯვენე სექტორის ლიდერ იაროშს მადლობა ოფიციალურად გადაუხადა:

— იაროშის დახმარებით მოხალისეთა ბატალიონების არმიაში ინტეგრირების პროცესი დაიწყო. ამისათვის მას ულრმეს მადლობას ვუხდი,— თქვა პოროშენკომ.

მიუხედავად ამისა, უკვე მეორე დღეს დნეპროპეტროვსკში მორიგი პროვოკაცია მოხდა. უცნობმა პირებმა „მემარჯვენე სექტორის“ მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. ტელეკომპანია „ინტერის“ ცნობით, გასროლა იმ მხრიდან მოხდა, სადაც 95-ე სადესანტო ბრიგადაა დაბანაკებული.

— ვიღაცას გულით სურს, რათა მოხალისეებსა და არმიას შორის შეიარაღებული კონფრონტაცია დაიწყოს,— თვლის მე-5 არხი.

გენერალი ბრიდლავი: „რუსები იერიშისათვის ემზადებიან!“

ექსპერტების უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ პუტინის სამშვიდობო რიტორიკა მორიგი ფანდია. როგორც ჩანს, რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა. ახლა კურსი უკრაინის შიგნიდან აფეთქებისაკენაა მიმართული. სოციალური აფეთქება, შეიარაღებულ კონფრონტაცია მოხალისეებსა და არმიას შორის, კონფრონტაცია შსს-სა და უშიშროებას შორის,— ასეთია კრემლის მიზანი.

— რუსეთი ახალი შეტევისათვის ემზადება!— აცხადებს ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი ბრიდლავი.

გენერალი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტორებზე: დონბასში რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება, სეპარატისტების საჯარისო ფორმირებებში ერთიანი სარდლობის შექმნა, უკრაინის საზღვართან რუსული საჯარისო კონტინგენტის კონცენტრაცია, რომლის რაოდენობამაც უკვე 52 000-ს მიაღწია. ტერორი, მასობრივი არეულობებისა თუ შეიარაღებული დაპირისპირების ინსპირირება მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია. როგორც კი ვითარება უკონტროლო გახდება, რუსული არმია უკრაინაში შეიჭრება. ამ ეტაპზე რუსების უმთავრესი მიზანი მარიუპოლია, თუმცა ქალაქის აღება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ რუსეთი წარმოჩნდეს, არა როგორც აგრესორი, არამედ უკრაინაში სტაბილიზაციის აღდგენის ერთ-ერთი მონაწილე მხარე. ამ მიზნის განხორციელების შემდეგ დაიწყება მეორე ეტაპი ანუ უკრაინის გაყოფა. რუსეთი შეეცდება, კონტროლი დაამყაროს უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებზე, სადაც უკრაინული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმთავრესი კომპონენტებია განლაგებული. უწინარეს ყოვლისა, ესაა დნეპროპეტროვსკის სარაკეტო კომპლექსი იუჟმაში, ხარკოვის საავიაციო და ტანკმშენებელი ქარხნები ზაპოროჟიეში, ნიკოლავის გემთმშენებელი ქარხანა, ოდესა და აშ.

### ახლა აუცილებელია კონსოლიდაცია

იქმნება შთაბეჭდილება, რომ უკრაინის ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში აშკარად დაბნეულია. პრეზიდენტი პოროშენკო ცდილობს, ნებისმიერი საშუალებებით პუტინთან სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიოს და დრო მოიგოს. პატრიოტები ამას ეწინააღმდეგებიან, რადგანაც დღეს რუსეთი უკრაინაზე ძლიერია, სამშვიდობო შეთანხმებაც ცალმხრივი დათმობების ანუ უკრაინის ინტერესების ხარჯზე შეიძლება მოხდეს.

— ჩვენი ხსნა მხოლოდ ჩვენი ერის კონსოლიდაციასა და აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევაშია. ნებისმიერი კაპიტულაცია დამღუპველი იქნება, — ამბობს ბატალიონ „დონბასის“ მეთაური და უკრაინის პარლამენტის დეპუტატი სემენჩენკო.

## ჯონ მაკეინი: დღეს უმოქმედობა დაუშვებელია!“



სენატორმა მაკეინმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში დონბასში რუსეთის მკვეთრი გააქტიურებაა მოსალოდნელი. პუტინის მთავარი სამიზნეა მარიუპოლი. სავარაუდოდ, რუსეთის მთელი ძალისხმევა ამ ქალაქის აღებისაკენ იქნება მიმართული. მაკეინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კრემლმა პროპაგანდა მკვეთრად გააძლიერა, რასაც აშშ ჯერჯერობით ვერაფერი დაუპირისპირა.

— პუტინის პროპაგანდა ძირითადად რუსების ან რუსულენოვანი მოსახლეობისაკენაა მიმართული,— აცხადებს მაკეინი.

სენატორმა კვლავ მოუწოდა ობამას, მიაწოდოს უკრაინას ლეტალური იარაღი, აგრეთვე შეიმუშაოს სტრატეგია რუსული აგრესიის შესაჩერებლად. მაკეინმა განაცხადა, რომ უკრაინაში წარმატების შემდეგ რუსეთის მიზანი იქნება ბალტიისპირეთი, მოლდოვა და საქართველო.

— დღეს უმოქმედობა დაუშვებელია,— ამბობს მაკეინი.

## პუტინი ნარკობიზნესის მფარველობაში დაადანაშაულეს

ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ რუსეთის პრეზიდენტი ნარკობიზნესის მფარველობაში დაადანაშაულა. საუბარია კოლუმბიიდან ევროპაში ნარკოტიკების კონტრაბანდაზე. ინგლისელი ძალოვნების ცნობით, ამას ტამბოვის დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი, ვინმე კუმარინი ახორციელებდა, ამ უკანასკნელს კი პუტინის უახლოესი თანამებრძოლი ივანოვი მფარველობდა.

— ივანოვი დაეხმარა კუმანინს, რათა პეტერბურგის პორტზე კონტროლი მოეპოვებინა,— იტყობინება ბი-ბი-სი.



ივანოვის გვარი ლიტვინენკოს მკვლელობის საქმეში ფიგურირებს. ინგლისელებმა დაადგინეს, რომ საიდუმლო დოსიე ივანოვზე ჯერ კიდევ სუკის ყოფილმა პოლკოვნიკმა იური შვეცმა შეადგინა. შემკვეთი ალექსანდრე ლიტვინენკო გახლდათ. შვეცმა შეკვეთა შეასრულა და დოსიე ლიტვინენკოს გადასცა. ამის შემდეგ ლიტვინენკო გაურკვეველ ვითარებაში იღუპება.

არსებობს ვერსია, რომ ლიტვინენკოს სიკვდილი ამ დოისემ განაპირობა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

ინგლისელი გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ ივანოვი ლიტვინენკოს მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორია. თავად ივანოვი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და ამას პატრიოტულ ფონზე აკეთებს:

